ლელო

№ 140 (12 210)
16 ივნისი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შევჩენკო მილანში ბრუნდება. კაკა?

რეალი მილანს 53 მილიონს შესთავაზებს **5**

# შეგვიძლია თუ არა იტალიის დამარცხება?

## დღეს ბუქარესტში, IRB-ს ერთა თასზე: საქართველო-იტალია A

IRB NATIONS CUP ROMANIA 2007



**9**



# გორდონ ჰერბერტი პო ორტეზიდან დაითხოვეს

**9**

# ზაალ ელიავა: ლოკომოტივი თუ გერმანია? მალე გაირკვევა

საქართველოს ნაკრებს კლაუს ტოპმიოლერი გაახალგაზრდავებას უპირებს. საფრანგეთთან მატჩის შემდეგ, ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ასეთი განცხადება გააკეთა. როდის დაიწყება ეს პროცესი, ძნელი სათქმელია, თუმცა უკვე რამდენიმე ახალი მოთამაშე გამოჩნდა და მათ შორის, უპირველესად, ზაალ ელიავას გამორჩევა შეიძლება.

21 წლის მარცხენა მცველი, ჯერჯერობით, ევროპული მასშტაბით უსახელო რიგის "სკონტოში" თამაშობს, მაგრამ მისი სანაკრებო თამაშებიდან ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩება ადამიანს, თითქოს წლებია ევროპაში ასპარეზობს.

- ზაალ, ნაკრებს უპრობლემოდ რომ შეეწყვე, ეს აშკარად ჩანს. ეტყობა, უცხო გარემოსთან გაშინაურება არ გიჭირს.

- შეიძლება. სიმართლე გითხრათ, ამაზე არც მიფიქრია. საერთოდ, ადამიანებთან ურთიერთობა მართლა არ მიჭირს და კონფლიქტურიც არ ვარ. ბიჭებმაც თბილად მიმიღეს და უკვე ერთი წელია ტოპმიოლერი ეროვნულ გუნდში მიწვევს. ბუნებრივია, გაუცხოებას აღარ ვგრძნობ. შეიძლება თავდაჯერებულიც ვჩანვარ. სინამდვილეში მიზეზი სხვა რამაა. ნებისმიერ მეტოქესთან მოედანზე საომრად გავდივარ და თავს მუდმივად შთავაგონებ, რომ არ უნდა ვინერვიულო, არ შევრცხვე და თავისუფლად ვითამაშო.

**2**



LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დიმიტრი რამიშვილთან

# პრეზიდენტობის კანდიდატი ერთია

## ვინც ჩვენს მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, მოიკვეთება, ვინც დააკმაყოფილებს, დავიმატებთ



დიმიტრი რამიშვილი

23 ივნისს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტის არჩევნებია. ფედერაციის არჩევნებისგან განსხვავებით, სადაც პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს მრავალი კრიტიკოსი და კონკურენტი გამოუჩნდა, ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი უკონკურენტოა.

ქუთაისის "ტორპედოს" მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი პროფლიგის პრეზიდენტად ოთხი წლის წინათ აირჩიეს. მიუხედავად იმისა, რომ ლიგაში მცირე ჯგუფია დასაქმებული, ორგანიზაცია მობილური, მოქნილი და ეფექტურია და თუკი ქვეყნის ფეხბურთში რაიმე პროგრესული ნაბიჯი გადაიდგა, უპირველესად სწორედ ლიგის დამსახურებაა: ჩემპიონატის კომერციალიზაცია, სპონსორების მოზიდვა, სატელევიზიო სივრცის ათვისება, საფეხბურთო სეზონის ბოლოს გამორჩეულების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი "დია" და ერთმანეთზე უკეთესად ორგანიზებული თასის ფინალები - ეტყობა, ეს ყოველივე გახდა კიდეც იმის საფუძველი, რომ ლიგის პრეზიდენტს არჩევნებში კონკურენტი არ ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, გუშინ ამოიწურა კანდიდატურების წარდგენის ვადა და რეგისტრაცია მხოლოდ მოქმედმა პრეზიდენტმა გაიარა. გასულ კვირას ის ბერლინში ევროპული პროფლიგის თათბირზე იყო მიწვეული.

**- შევიტყვეთ, რომ პროფლიგის არჩევნები 23 ივნისს არის დანიშნული. თარიღი როდის შეირჩა?**

- 24 მაისს ლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა, სადაც ერთ-ერთ საკითხად პრეზიდენტის არჩევნებიც იყო და გამგეობის წევრებმა თარიღიც დაადგინეს.

**- თქვენ გარდა, კანდიდატურა არავის წარმოუდგენია. ეს თქვენთვის მოულოდნელი არ იყო?**

- სიმართლე გითხრათ, ბევრ მსურველს არც ველოდი, რადგან ქვეყნის ჩემპიონატის მოლონიერება ურთულესი საქმეა. ეტყობა, ჩათვალეს, რომ საქმეს ურიგოდ არ ვუძღვები. მარტო ჩემი კანდიდატურა რომ არის, ალბათ, ესეც ლიგის საქმიანობის შეფასებაა.

**- ხმის უფლებით რამდენი გუნდი ისარგებლებს?**

- თავიდანვე ლიგაში 15 გუნდი გაწევრიანდა. თუმცა "სპარტაკი", "მერცხალი" და "გურია" რეგიონალლიგაში გავარდნენ, წევრობა ავტომატოურად დაკარგეს და 12 დელეგატი დარჩა.

**- ბარემ ვისარგებლებთ შემთხვევით და კიდევ ერთხელ გკითხავთ - უმაღლესი ლიგის ფორმატი ხომ არ შეიცვლება? მაინც ჯიუტად ამტკიცებენ, რომ ლიგას "ცხინვალი" დაემატება.**

- უმაღლესში ყველა მოწესრიგებულ გუნდს მივესალმები. ასეთებისთვის უმაღლესში ყოველთვის იქნება ადგილი. თუმცა ფორმატის შეცვლა ლიგის გამგეობამ და კონკურენციამ უნდა გადაწყვიტოს.

**- ანუ შესაძლოა, "ცხინვალი" დაიმატოთ?**

- მე არ ვიცი, ვის ვისთან სურს გაერთიანება, ჩვენთვის კი ჯერ ოფიციალურად ასეთი სურვილით არავის მოუმართავს.

**- ანუ, "ცხინვალს" "ჩიხურასთან" გაერთიანებით სურს უმაღლესში გადმოსვლა?**

- გიმეორებთ, ჯერ მე არ ვიცი, ვის რა სურს. მარტო სურვილიც არ კმარა, პირობებიც უნდა დააკმაყოფილოს. კარგად იცით, ბოლო სამ წელიწადში რაც ხდებოდა - ვინც პირობები ვერ დააკმაყოფილა, ლიგიდან მოიკვეთა. თუკი რომელიმე გუნდმა ლიცენზირების პირობები ვერ დააკმაყოფილა, მაშინ ჩემპიონატის ნორმალურად ჩასატარებლად, შესაძლოა, მოწესრიგებული გუნდი დავიმატოთ.

**- ანუ, შეიძლება "ჩიხურა" მოკვეთოთ და "ცხინვალი" დაამატოთ?**

- "ჩიხურა" იქნება თუ სხვა გუნდი, არ აქვს მნიშვნელობა. თუკი ელემენტარულ პირობებს არ დააკმაყოფილებს, გუნდს ლიგაში არ დავუშვებთ.

**- წინა კვირას ევროპული პროფლიგის თავყრილობაზე იმყოფებოდით, სადაც გაწევრიანების შესაძლებლობა გაქვთ, მაგრამ რამდენად აუცილებელია ეს ჩვენთვის?**

- ევროპროფლიგაში გაწევრიანებით შესაძლებელი გახდება კონტაქტების დამყარება ევროპის წამყვან ლიგებთან, მათი გამოცდილების გაზიარება, იმ კომპანიებთან დაკავშირება, რომლებიც მათი პარტნიორები არიან. ბერლინშიც ასეთი საზოგადოება იყო თავმოყრილი. მძლავრი ევროპული ლიგები თავიანთი ინტერესების დაცვას ცდილობენ, ეს დაახლოებით G14-ის მსგავსი ორგანიზაციაა. ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო, უეფასა და ევროპარლამენტის წარმომადგენელიც კი ჰყავდათ მიწვეული.

**- აპირებთ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებას?**

- გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ მივიღებ, ეს ჩვენი წევრი კლუბების გადასაწყვეტია.

**- პროფლიგის წევრობა ოთხ კატეგორიად არის დაყოფილი, არის კიდევ ასოცირებულ წევრის სტატუსი. როგორ ფიქრობთ, ქართულ პროფლიგისთვის უფრო რა კატეგორიის წევრობა იქნებოდა ოპტიმალური?**

- 28-დან 80 ათას ევრომდე - ასეთია წლიური საწევრო გადასახადი პირველიდან მეოთხე კატეგორიამდე, ასოცირებული წევრობა კი 10 ათასი ევრო ჯდება. ამ ეტაპზე ჩვენთვის ალბათ ასოცირებული წევრობა იქნება ოპტიმალური. თუმცა ჩვენთვის ჯერ ესეც არ არის აუცილებელი. პროფლიგის კონფერენცია რომ გაიმართება, ამ საკითხზე მაშინ ვიმსჯელებთ.

**მერაბ მამულაშვილი,**
**დავით თავართქილაძე**



ინტერვიუ ზაალ ელიავასთან

# ლოკომოტივი თუ გერმანია? მალე ვიტყვი

*პირველი გვერდიდან*

**- ტოპმიოლერმა გარკვევით თქვა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მოთამაშე ლეგიონერებს ტაქტიკური პრობლემები გააჩნიათ და იგივე გაიმეორა ლევან კობიაშვილმაც. რომელიმე ასეთ ფეხბურთელს ლიტვა-საფრანგეთის შემდეგ თუ გესაუბრათ?**

- პირველად მესმის, ტოპმიოლერს პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამს. ისე, რად უნდა ლაპარაკი დასავლეთ ევროპაშია დიდი ფეხბურთი და იქ რომ კაცი თამაშობს, მეტსაც სწავლობს და მეტადაც იზრდება.

**- როგორც შევიტყვეთ, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, შესაძლოა, გერმანიაში გადახვიდე კიდეც.**

- გერმანიაში?

**- არ თქვა, რომ სიმართლე არაა.**

- კონკრეტულად ვერ გეტყვით.

**- მოკლედ, არ უარყოფ, რომ ასეთი შესაძლებლობა არსებობს?**

- ალბათ, ინტერესი არსებობს, მეც ასე ვიცი, მაგრამ მეტი რა გითხრათ, როცა თავადაც ზოგადად მსმენია ამ ვარიანტზე.

**- უფრო კონკრეტულად მოსკოვის "ლოკომოტივზე" საუბრობენ.**

- ეს მეც გავიგე, თუმცა პირადად მე მოსკოველები არ დამკავშირებიან.

**- აბა, ვისგან შეიტყვე, რომ გაკვირდებიან?**

- პრესიდან გავიგე... უფრო სწორად, მალე უკეთ მეცოდინება, ეს ინტერესი რამდენად სერიოზულია.

**- მოდი, პირდაპირ გვითხარი, გერმანელებთან და რუსებთან მოლაპარაკება შენმა მენეჯერმა დაიწყო?**

- იცით, წინასწარ არ მიყვარს საუბარი და სანამ ტრანსფერი 100 პროცენტით არ გადაწყდება, მინიმუმ, 90 პროცენტით მაინც, ვერაფერს ვიტყვი.

**- კარგი, ბოლო დროს "სკონტოს" ძირითადში არ თამაშობდი და მიზეზი გვაინტერესებს, მწვრთნელი აღარ გენდობა?**

- არა, ყველაფერი ჩვეულებრივადაა, მწვრთნელთან ძველებურად კარგი ურთიერთობა მაქვს. უბრალოდ, ნაკრების თამაშებამდე მუხლი ამტკივდა და მწვრთნელს თავად ვთხოვე დასვენება. ნაკრების შეხვედრების გამოტოვება არ მსურდა. ისე, ბოლოსწინა ტურში წითელი ბარათი მივიღე და ორი თამაშის გამოტოვება მომიწევს.

**- ეს ფაქტი ჩვენც შევიტყვეთ და საკმაოდ გაგვიკვირდა, უხეშობა არ გახასიათებდა.**

- უხეშობის გამო არც მიმიღია. "რიგასთან" საშინაო თამაში ფრედ 4:4 დასრულდა. მეოთხე გოლი "რიგის" თავდამსხმელმა ბოლო წუთზე ხელით გაგვიტანა და გავგიჟდი. მსაჯს ეს გასახდელში ვუთხარი და მეორე ყვითელი მაჩვენა. კი არ მიჩხუბია, მხოლოდ ის ვუთხარი, რომ წესების ასეთი აშკარა დარღვევა უნდა შეგენიშნა-მეთქი.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ცქიტიშვილს არ გაუფორმებია

არ დადასტურდა ვერსია, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ნაკრების გამოცდილმა ნახევარმცველმა „პანიონიოსთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა. **ლევან ცქიტიშვილი** შვებულებას თბილისში ატარებს. მასთან დაკავშირება ვერ შევძელით, ოჯახის წევრებმა კი გვითხრეს, რომ ლევანი „პანიონიოსში" დარჩენას არ აპირებს, ახალი კლუბის ძიებაშია და საერთოდ, საბერძნეთში გაჩერება აღარ სურს.

ფეხბურთელის აგენტი სასურველი ვარიანტის ძიებაშია, ყველაფერი უახლოეს პერიოდში უნდა გაირკვეს. იმედია, ცქიტიშვილი სასურველ გუნდს მალე იპოვის და მომავალ სეზონში სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა არ შეაწუხებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სანტა კლაუსის სამშობლოში

ქართველი გოლკიპერი **გიორგი ნიკურაძე** ფინეთში რანგით მეორე ლიგის კლუბ ტპ-47-ში თამაშობს. ჩემპიონატის დაწყებიდან შვიდი ტურია გასული და ქართველის კლუბი 14 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერ კუპს-ის მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. 27 წლის ნიკურაძე კლუბის ძირითადი გოლკიპერია, მას შვიდ ტურში მხოლოდ 6 გოლი აქვს გაშვებული. ტპ-47 უმაღლესი ლიგიდან ერთი წლის წინათ გავარდა და ახლა ელიტაში დაბრუნებას ეშურება. მეორე ლიგიდან (იკონენ ლიგა) ერთი გამარჯვებული პირდაპირ გადადის უმაღლესში, მეორეადგილოსანი კი ფლეი-ოფში თამაშობს.

ნიკურაძის გარდა კლუბში კიდევ ერთი ქართველი ირიცხება ნახევარმცველი **ლაშა ჩხაიძე**, რომელიც რანგით დაბალი დივიზიონის კაჯაანინის "ჰაკაში" არის განათხოვრებული. მათი ჩათვლით კლუბში 12 ლეგიონერია, აქედან ხუთი კამერუნელია. ტპ-47 ლაპლანდიის ტორნიოს გუნდია, ქალაქში დაახლოებით 50 ათასი ადამიანი ცხოვრობს. სანტა კლაუსის სამშობლოში ქართველი შვედეთის საზღვართან 200 მეტრში ცხოვრობს და შვედურ რესტორანში დადის. ნიკურაძე ბოლო ტურის შეხვედრაში მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ლაპლანდიურ დერბიში ტპ-47-მა "როპსი" დაამარცხა - 2:1. ტპ-ის მწვრთნელი ბრაზილიელი **ლუის ანტონიო მორაეშია**. ლაპლანდიურ დერბიში კი ორივე გუნდიდან მხოლოდ 4 ფინელი თამაშობდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გიორგი ნიკურაძე

თენგიზ სულაქველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემია

აცხადებს
1990-2000 -წლებში
დაბადებულ ფეხბურთელთა
კონკურსს.
1990, 91, 92 და 93-წლიანებში
გამორჩეულები ჭაბუკთა
ლიგის გუნდში
ჩაირიცხებიან.

შერჩევა 25 ივნისიდან 30
აგვისტოს ჩათვლით
გაგრძელდება.

*ტელეფონები:*
*52-60-01, 8-99-476727*
*მისმართი:*
*ლუბლიანას ქუჩა 19*




საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მართავს საფეხბურთო გალა-დაჯილდოების ცერემონიალს. ლაურეატები გამოვლინდებიან 11 ნომინაციაში. 2 მთავარი ნომინაციის მიხედვით დასახელდებიან საუკეთესო ლეგიონერი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. მიღება გაიმართება 2007 წლის 19 ივნისს 19:30 საათზე.

ბილეთის ფასი: პარტერი - 10 ლარი; ბალკონი - 5 ლარი.

საკონტაქტო ნომრები: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა. ტელ: +995 32 912671 ; +995 32 917126

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ჩიხურა

# ივანაშვილი არ დააფინანსებს

## ბრეგვაძე ჩიხურადან მალაროელში

გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ **ბიძინა ივანაშვილი** "ჩიხურას" კვლავ დააფინანსებს, მცდარი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ბიზნესმენისა და კლუბის გზები საბოლოოდ გაიყარა. "ჩიხურას" მესვეურები უცხოელი ან ადგილობრივი სპონსორის ძიებაში არიან და თუ სანადელს ვერ მიაღწიეს, უმაღლეს ლიგასთან გამოთხოვება მოუწევთ. ადგილობრივი ბიუჯეტი მხოლოდ პირველ ლიგაში ასპარეზობას თუ გასწვდება.

როგორც იცით, საჩხერელები თავისი ადგილის სხვისთვის დათმობას აპირებენ. "ცხინვალის" ვარიანტი ფაქტობრივად, გამორიცხულია, რადგანაც **დიმიტრი სანაკოევის** მთავრობა თავისი კლუბის უმაღლესში გადაყვანას ლიგის გაზრდის ხარჯზე გეგმავს. სადღეისოდ, ყველაზე რეალური გორის "დილას" ვარიანტია.

საჩხერელებთან დაკავშირებით იმასაც გეტყვით, რომ **ბადრი ბრეგვაძე** მოღვაწეობას ჭიათურაში განაგრძობს. მან "ჩიხურას" გუნდის უფროსის თანამდებობა დატოვა და ამიერიდან "მალაროელის" მთავარი მწვრთნელი იქნება.

*"ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, "ჩიხურაში" ჩემს დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. "მალაროელს" ნორმალური დაფინანსება ექნება და სავარაუდოდ, რეალურად იბრძოლებს უმაღლესი ლიგის საგზურისთვის. "ჩიხურადან" რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის დამატებას ვაპირებთ"*, - ამბობს ბრეგვაძე.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბადრი ბრეგვაძე

# მგლებმა მოთამაშეები დაახარისხა

ზუგდიდის "მგლები" უმაღლესი ლიგისთვის ემზადება. დაბრუნება უნდა იყოს ეფექტური და შთამბეჭდავი - დაახლოებით ასეთია "მგლების" მეპატრონეთა ჩანაფიქრი.

ზუგდიდელთა მთავარმა მწვრთნელმა **ბესო შეროზიამ** უკვე დაიწყო სეზონისთვის მომზადება. ჩვენც ძირითადად მომავალ ჩემპიონატში "მგლების" პერსპექტივაზე ვისაუბრეთ:

*"სეზონისთვის მზადებას უკვე შევუდექით. ორიოდე დღით გუნდს ჩემი თანაშემწე ელგუჯა ქომეთიანი ავარჯიშებდა, რადგან ოპერაცია გავიკეთე და ფიზიკურად ვერ შევძლებდი ვარჯიშების ხელმძღვანელობას. მზადებას ორ ეტაპად ჩავატარებთ, თავიდან ზუგდიდში, შემდეგ კი, შესაძლოა, ბაკურიანში ან მუხურში მოვემზადოთ. ჩხოროწყუს რაიონში შესანიშნავი პირობებია, საუცხოო სპორტული კომპლექსი, მოედანი და ბუნებაა. ეს საკითხი უახლოეს პერიოდში გადაწყდება"*, - გვითხრა შეროზიამ.

მანვე გუნდის ინფრასტრუქტურის შესახებ საინტერესო ამბები გვითხრა: *"მთელი ქალაქი და რაიონი მობილიზებულია, "მგლებს" უმაღლეს ლიგაში მაგარი დებიუტი რომ ჰქონდეს. გუნდის ბაზა აშენდება ზუგდიდში. ეს საკითხი მალე უნდა გადაწყდეს. მანამდე კი გუნდი დროებით კახათში იქნება, სადაც შენობაც არის და მოედანიც. მთავარია, რომ თანხა არის, რომლითაც გაძლიერებასა და უმაღლესში ღირსეულ თამაშს შევძლებთ. როგორც იცით, სტადიონის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. სეზონის დაწყებამდე დაახლოებით 5 ათასი ინდივიდუალური სკამის დამონტაჟება მოხერხდება. ასე რომ, ჩემპიონატს საკუთარ ქალაქში ვუმასპინძლებთ და დარწმუნებული ვარ, ისეთი გულშემატკივრობა გვექნება, როგორც არც ერთ სხვა გუნდს. ძალიან ბევრს, მათ შორის დიდი ამბიციების მქონე კლუბებსაც უდიდეს პრობლემებს შევუქმნით სწორედ ჩვენი გულშემატკივრების დახმარებით. ჯერ "მგლების" ამბიციაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ მჯერა, საკმაოდ ბრძოლისუნარიან გუნდს ვაყალიბებთ."*

მწვრთნელი ამბობს, რომ გუნდის ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მყარია: *"ჩვენი პრეზიდენტი ლაშა დარასელია ცდილობს, ყველანაირად მოიზიდოს თანხები, სახელმწიფო სტრუქტურების დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ, როდესაც ლიგის დებიუტანტი ორ შეკრებას გეგმავს, ეს უკვე მისი ფინანსური მდგომარეობის სიმყარეზე მეტყველებს."*

"მგლებში" საკმაოდ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი. შეროზიამ გვითხრა, რომ თერთმეტ ფეხბურთელს შეელევიან: *"გუნდი თავდამსხმელმა გია თოდუამ უკვე დატოვა. მასთან პირობებზე ვერ შევთანხმდით. შემადგენლობის 60 პროცენტს შევინარჩუნებთ და ახლებსაც დავიმატებთ. ჩვენთან იქნებიან მცველი ზურა ექონია, თავდამსხმელი რეზო ჯიქია და ნახევარმცველი მაჭავარიანი."*

ის იმედოვნებს, რომ "მგლები" ლეგიონერებსაც დაიმატებს: *"საუბარია უკრაინიდან ფეხბურთელების დამატებაზე. ჯერ კიდევ გვაქვს დრო, რომ ეს ჩანაფიქრი განვახორციელოთ. თუმცა შერჩევისას დიდი სიფრთხილე გვესაჭიროება. რად გვინდა ისეთი ლეგიონერი, რომელიც ადგილობრივ ფეხბურთელს ვერ აჯობებს? ვნახოთ, თუ საინტერესო მოთამაშეები აღმოვაჩინეთ, ხომ კარგი, თუ არადა, ჩვენივე ძალებით ჩავერთვებით ჩემპიონატში."*

რადგან სერიოზული საკადრო ცვლილებები იგეგმება, აქედან გამომდინარე, ზუგიდიდელები საკმაოდ ბევრი საკონტროლო მატჩის ჩატარებას გეგმავენ. *"სეზონის დაწყებამდე რვა შეხვედრა მაინც უნდა გავმართოთ. მოლაპარაკებები გვაქვს უმაღლესლიგელებთან, აგრეთვე, პირველი ლიგის ამბიციურ გუნდებთან"* - გვითხრა შეროზიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ქართველები ბალტიის თასზე: გაძევება, 9:1 და მარცხი



დავით გამეზარდაშვილი (მარცხნივ)

გაიმართა ბალტიის თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩები. ლატვიის ჩემპიონი "ვენტსპილსი" ლიტვის დედაქალაქში "ვეტრას" ესტუმრა, 0:0 ეთამაშა და ნახევარფინალში გასვლის უკეთესი შანსი შეინარჩუნა. მატჩის ბოლოსკენ კლუბი საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **ზურაბ მენთეშაშვილმა** დაალალატა, მან, მსაჯის განმარტებით, მეტოქეს აგინა და წითელი ბარათი მიიღო. ეს მატჩის დასრულებამდე 9 წუთით ადრე მოხდა, "ვენტსპილსი" დაცვაში "ჩაჯდა" და ანგარიში შეინარჩუნა. სხვათა შორის, მენთეშაშვილი მოედანზე 62-ე წუთზე გამოჩნდა **ზიზილევის** ნაცვლად. მატჩის შემდეგ ლატვიელთა მწვრთნელი **რომან გრიგორჩუკი** ქართველის საქციელით უკმაყოფილო იყო: *"მას წითელი ბარათი დამსახურებულად უჩვენეს. ზურას მხრიდან ეს ცუდი საქციელია"*. საპასუხო მატჩი ვენტსპილსში 4 ივლისს გაიმართება. სხვათა შორის, მენთეშაშვილმა ლატვიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ყვითელი ბარათი მიიღო, რაც 27 წლის ფეხბურთელისთვის ამ სეზონში არცთუ იშვიათია.

ბალტიის თასის მეოთხედფინალების მიმოხილვა, ალბათ, "ჟალგირისი"-"კაუნასის" მატჩით უნდა დაგვეწყო, რომელშიც ლიტვის ჩემპიონმა მასპინძელ გუნდს 9:1 მოუგო! საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ნათამაშებმა ფორვარდმა **ბიენიუშისმა** ოთხი გოლი გაიტანა. **ნუკრი მანჩხავამ** გამარჯვებულთა შორის შეუცვლელად ითამაშა, **გივი კვარაცხელია** კი მატჩის 57-ე წუთზე გამოვიდა მოედანზე, როცა მისი გუნდი 6:1-ს იგებდა. რიგის "სკონტო" შინ დამარცხდა ლიტვურ "ეკრანასთან" - 1:2. **დავით გამეზარდაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **ზაალ ელიავა** რიგელთა შორის არ გამოჩენილა.

ერთი მატჩი გაიმართა ლატვიის ჩემპიონატში, **თამაზ პერტიამ** "დინაბურგის" მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი გამარჯვება იზეიმა. "დინაბურგმა" სტუმრად 3:1 დაამარცხა "დაუგავა". თამაშის მერე მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ "დინაბურგმა" ლამაზი ფეხბურთი აჩვენა: *"როგორც შეგპირდით, გუნდმა გაცილებით უკეთ ითამაშა"*.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ასათიანი რეალის პირისპირ

3-5 აგვისტოს, გრანდიოზული ოთხთა ტურნირი გაიმართება. რუსული რკინიგზის 170-წლოვანი იუბილისა და „ლოკომოტივის" ახალი სტადიონის ხუთი წლისთავის აღსანიშნავად, მოსკოვს „რეალი" „მილანი" და პსვ ეწვევიან. ნახევარფინალში „ლოკომოტივის" მეტოქე მადრიდული გრანდი იქნება. ბუნებრივია, იმ დროისთვის **მალხაზ ასათიანი** სრულ მზადყოფნაში იქნება და იმედი ვიქონიოთ, რომ მრისხანე მეტოქეებთან მატჩებში თავის საუკეთესო თვისებებს წარმოაჩენს.

### ანჟელები თავიდანვე გავარდნენ

რუსეთის თასზე პირველი ეტაპის მატჩები გაიმართა. ცნობისთვის, ამ რაუნდში პრემიერლიგის გუნდები არ მონაწილეობენ და სხვა ეტაპებისგან განსხვავებით, გამარჯვებულს ერთი შეხვედრა ავლენს.

წინა გათამაშების ნახევარფინალისტმა ბრიანსკის „დინამომ" რიაზანის „სპარტაკს" უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა. **პაატა ჯინჭარაძემ** მოედანზე 90 წუთი გაატარა. როგორც იცით, მას ტრავმის გამო საკმაო დრო გაუცდა და მოედანს სულ ახლახან დაუბრუნდა.

თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა მახაჩყალის „ანჟი", რომელიც ვოლგოგრადში „როტორთან" 1:2 დამარცხდა. **ომარ თეთრაძის** გუნდმა სწრაფი გოლი მიიღო, 77-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, ერთ წუთში კი „როტორმა" გამარჯვებისა გაიტანა და მატჩის საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა. ქართველთაგან მხოლოდ **ზურაბ არზიანმა** ითამაშა. იგი მოედანზე შეუცვლელად იყო და გაფრთხილების გარდა, თავი ვერაფრით გამოიჩინა.

### ხიზანეიშვილი დაცვის ბურჯიაო

„ფრაიბურგის" გულშემატკივრები **ოთარ ხიზანეიშვილზე** კარგი აზრისანი არიან. კლუბის ინტერნეტ-ფორუმზე ქომაგთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქართველი მცველი მომავალ სეზონში გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იქნება.

*„შრომისმოყვარე და თავდადებული ფეხბურთელია, დიდი პოტენციალი აქვს, ხიზანეიშვილი „ფრაიბურგის" ერთ-ერთი საუკეთესო მცველია, ახალ სეზონში კი, თუ კვლავ ტრავმებმა არ შეუშალა ხელი, ჩვენი გუნდის დაცვის ბურჯი იქნება"*, - წერს არაერთი გულშემატკივარი.

იმედია, მათი სიტყვები გამართლდება და ოთარს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც აღარ შეაწუხებს. შეგახსენებთ, 2005 წელს მიღებული ტრავმის გამო, მას ფაქტობრივად, წელწადი გაუცდა, სტაბილურად ვერც გასული სეზონი ჩაატარა. 2006-07 წლების მეორე ბუნდესლიგაში ხიზანეიშვილმა მხოლოდ 13 მატჩში ითამაშა (6 ძირითადში) და ერთი გოლი გაიტანა.

აქვე გეტყვით, რომ ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ შეკრებას „ფრაიბურგი" ავსტრიაში გაივლის, უახლოეს ოფიციალურ მატჩს კი 5 აგვისტოს ჩაატარებს გერმანიის თასის პირველ რაუნდში. მეორე ბუნდესლიგა 10 აგვისტოს იწყება. მიზანი, ბუნებრივია, უცვლელია – პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 55 ტელეფონის დადგმა;

CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
- უწყვეტი მომსახურება
- ტექნიკური მხარდაჭერა
- გარანტირებული ხარისხი
- გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



# დინამო

## ადგილი ჩემპიონატში: 2

| დინამო | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| შ. კაშია | 26 | 26 | 1 | 3 | - |
| ს. იაშვილი | 25 | 23 | 21 | 2 | - |
| კობახიძე | 24 | 23 | 4 | - | - |
| გ. მერებაშვილი | 23 | 19 | 5 | 4 | 1 |
| ხმალაძე | 21 | 19 | 1 | 3 | - |
| ხუციშვილი | 21 | 11 | 4 | - | 1 |
| გრიშიკაშვილი (მკ.) | 16 | 16 | -11 | 4 | - |
| ოდიკაძე | 15 | 4 | 1 | 1 | - |
| შაშიაშვილი** | 13 | 13 | - | 2 | - |
| დილმელაშვილი** | 13 | 13 | - | - | - |
| ფეიქრიშვილი** | 13 | 11 | 6 | - | - |
| ბობოხიძე* | 13 | 7 | 5 | 2 | - |
| ლ. ნოზაძე | 13 | 4 | - | 1 | - |
| კრშკო** | 12 | 12 | - | 1 | - |
| ზელიჩი** | 11 | 11 | - | 2 | - |
| გიგაური* | 11 | 11 | 1 | - | - |
| გ. კაშია | 11 | 10 | 2 | 1 | - |
| დვალი* | 11 | 4 | 3 | 1 | - |
| ლორია (მეკ.) | 10 | 10 | -8 | 2 | - |
| ნავალოვსკი* | 10 | 10 | - | 1 | - |
| ამბროზიო* | 9 | 9 | 1 | 1 | - |
| სპასოევიჩი** | 9 | 1 | 1 | 1 | 1 |
| გრიგალაშვილი* | 5 | 4 | - | 1 | - |
| ჯანაშია | 5 | 1 | - | - | - |
| ნერგაძე* | 4 | 4 | - | - | - |
| ანგულო* | 4 | 2 | - | - | - |
| თომაშვილი | 3 | 3 | - | - | - |
| აკობია | 3 | 2 | 1 | - | - |
| ჩირიკაშვილი | 1 | 1 | - | - | - |
| ბაბუნაშვილი* | 1 | 1 | - | - | - |
| ახალაია* | 1 | 1 | - | - | - |
| მახარაძე* | 1 | - | - | - | - |
| ურტადო* | 1 | - | - | - | - |

* - მხოლოდ პირველ წრეში
**- მხოლოდ მეორე წრეში

ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის "დინამო" განვლილი სეზონის პირველ ნახევარში არასტაბილურად თამაშობდა. "კახეთთან" მატჩის შემდეგ, მეშვიდე ტურში, გუნდი უკვე დუშან უჰრინმა ჩაიბარა და ეს შედეგებშიც აისახა, განსაკუთრებით მეორე წრეში. საგრძნობი ჩამორჩენის მიუხედავად, "დინამომ"ჩემპიონობისთვის ბოლომდე იბრძოლა – ორი ფრის გარდა ყველა თამაში მოიგო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერცხლს დასჯერდა. თუმცა უჰრინის ბიჭები ოქროსთან ახლოს იყვნენ - 5 მაისს, რუსთავში, "ოლიმპის" ძლევა რომ მოეხერხებინათ, ჩემპიონობას კიდევ ერთხელ იზეიმებდნენ.

**კახა კაჭარავა**
**მეორე მწვრთნელი**




"განვლილი სეზონის წინ და წრეებს შორის პაუზისას, ჩვენს კლუბში დიდი ცვლილებები მოხდა. არაერთი ფეხბურთელი გავასხვისეთ. ზოგმა განათხოვრებით მიაშურა სხვა გუნდს, ზოგს კი კონტრაქტი დაუმთავრდა.

"დინამომ" მეორე წრე ჩინებულად ჩაატარა. ორი ფრედ დასრულებული მატჩის გარდა, ყველა მოვიგეთ...

თუმცა უკეთესი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა... ფეხბურთელებს მეტი მონდომებით რომ ეთამაშათ, ჩემპიონობისა და თასის მოპოვებას შევძლებდით".

### საუკეთესო მატჩი

"ჩემპიონატის მატჩი "ამერთან"... როცა 0:1-ს ვაგებდით, მაგრამ თამაში შემოვაბრუნეთ. ჯერ ანგარიში გავათანაბრეთ, საბოლოოდ კი 2:1 მოვიგეთ".

### ყველაზე ცუდი მატჩი

(იცინის)... "ისევ "ამერთან"... ის მატჩი, სამწუხაროდ, 0:2 წავაგეთ".

### პლუსი

"ყველაზე დიდი პლუსი ისაა, რომ ჩვენი გუნდი ცნობილმა და გამოცდილმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** ჩაიბარა. ამასთან ის, რომ არაერთი წამყვანი ფეხბურთელი დაგვემატა... ისეთები როგორებიც არიან **ზელიჩი, კრშკო, დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი, სპასოევიჩი...** დადებითი კიდევ ის იყო, რომ განვლილ სეზონში წარმატებული თამაშით არაერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოირჩა. ასეთებად **თომაშვილს,** ძმებ **კაშიებს, ჩირიკაშვილს, ვაწაძეს, მაკარიძეს, ლორიას** დავასახელებდი.

ასევე აღვნიშნავდი მეორე წრეში გუნდის კარგ ასპარეზობას. "



დინამო-ზესტაფონი

### მინუსი

"ჩვენს გუნდში არაერთი ახალგაზრდა ფეხბურთელია - **მერებაშვილი, კობახიძე, იაშვილი...** ისინი გუნდის ლიდერები არიან, მაგრამ გამოცდილება ჯერ კიდევ აკლიათ. ეს რუსთავში, "ოლიმპთან" პრინციპულ მატჩში გამოჩნდა. სავსე ტრიბუნების წინაშე მათ პირველად ითამაშეს და ერთგვარ ფსიქოლოგიურ წნეხშიც კი მოხვდნენ. ეს მომენტი მათ თამაშს დაეტყო კიდეც".

### ჩემპიონატის რჩეულნი

"დინამოდან" მხოლოდ სანდრო იაშვილს გამოვარჩევდი. ჩვენს გუნდში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ ამ ეტაპზე არ მინდა მათი დაკონკრეტება. საერთოდ, ჩემპიონატის გამორჩეულთა შორის **ლევან ყენიას** დავასახელებდი".

### დინამო და ქომაგები

"ფეხბურთი ქომაგებისთვისაა და სპორტის ამ უპირველეს სახეობას სწორედ გულშემატკივრით აქვს ხიბლი. სამწუხაროდ, ეროვნულ ჩემპიონატი ქომაგების სიმწირეს განიცდის. თუმცა თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ "დინამო" ამაყობს თავისი გულშემატკივრებით. "დინამოს" ფანკლუბი ყველაზე აქტიურია მთელ საქართველოში. მათი ქომაგობა როგორც საშინაო, ასევე გასვლით მატჩებზეც არ მოგვკლებია. გულშემატკივარი და "დინამო ერთი მთლიანი ორგანიზმია და გუნდის წარმატებასაც ქომაგთა აქტიურობა განაპირობებს. ასე რომ, ჩვენი ფანკლუბის მიმართ, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის".

### ჩემპიონატის ფორმატი

"ძალიან კარგია, როცა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 16, 18 ან 20 გუნდი ასპარეზობს, მაგრამ ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობაც უნდა გავითვალისწინოთ. ჩემი აზრით, დღეს საქართველოში არაა ისეთი ეკონომიკური მდგომარეობა, რომ უმაღლეს ლიგაში 14-მა გუნდმა იასპარეზოს. ვფიქრობ, ამ ეტაპისთვის იდეალური 10 გუნდიანი პირველობა იქნებოდა. გათამაშება ოთხ წრედ უნდა მოეწყოს და სეზონის დაწყების წინ ყველა გუნდმა რეალური ფინანსური გარანტიები უნდა წარადგინოს. ჩემი აზრით, ჩემპიონატის ეს ფორმატი ეროვნული პირველობის დონის ამაღლებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს".

### გამორჩეული კოლეგები

"უმთავრესად დუშან უჰრინს გამოვარჩევდი. ჩვენ სხვა ნიჭიერი მწვრთნელებიც გვყავს, **გიორგი ჩიხრაძე, კახა ცხადაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გიორგი კიკნაძე, თემურ ქეცბაია, სოსო ჭედია"...**

### მსაჯობა

"როგორც ფეხბურთელი უშვებს თამაშის დროს შეცდომებს, ასევე უშვებს მსაჯიც. ასე რომ, არბიტრიც ადამიანია და შეცდომა მასაც მოსდის. მთავარია, ეს შეცდომა გამიზნული არ იყოს".

### გარიგებული მატჩები

"სამწუხაროდ, გარიგებული მატჩები არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ფეხბურთის მთავარი პრობლემაა. გარიგებული მატჩები მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყნის ჩემპიონატშია. მათ შორის წამყვან ლიგებშიც. სამწუხაროდ, ეს პრობლემა ჩვენთან აქტუალურია. თუმცა ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება. მთავარია, ასეთი თამაშების რაოდენობა მაქსიმალურად შევამციროთ. ვფიქრობ, ათგუნდიან უმაღლეს ლიგაში ჩაწყობილი მატჩების რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდება".

**დავით ცაბაძე**




**I ტური**
29.07.06 შ ბორჯომი 3:0
გოლები: შ. კაშია, ხუციშვილი, მერებაშვილი

**II ტური**
06.08.06 შ დილა 6:1
გოლები: დვალი (3), იაშვილი (2), ბობოხიძე

**III ტური**
20.08.06 ს ამერი 0:2

**IV ტური**
27.08.06 შ ტორპედო 0:1

**V ტური**
09.09.06 ს სიონი 1:0
გოლი: იაშვილი

**VI ტური**
17.09.06 შ კახეთი 2:1
გოლები: გიგაური, ამბროზიო

**VII ტური**
23.09.06 ს ზესტაფონი 0:1

**VIII ტური**
14.10.06 შ ლოკომოტივი 1:0
გოლი: იაშვილი

**IX ტური**
21.10.06 ს მერანი 3:1
გოლები: ბობოხიძე, ხუციშვილი

**X ტური**
29.10.06 შ ოლიმპი 1:0
გოლი: ბობოხიძე

**XI ტური**
05.11.06 ს ვიტ ჯორჯია 1:2
გოლი: ხუციშვილი

**XII ტური**
18.11.06 შ ჩიხურა 3:1
გოლები: იაშვილი (2), ხუციშვილი

**XIII ტური**
26.11.06 ს ბათუმი 3:1
გოლები: ბობოხიძე (2), გ. კაშია

**XIV ტური**
23. 02. 07 ს ბორჯომი 2:0
გოლები: კობახიძე, სპასოევიჩი

**XV ტური**
02.03.07 ს დილა 2:1
გოლები: კობახიძე, ფეიქრიშვილი

**XVI ტური**
10.03.07 შ ამერი 2:1
გოლები: იაშვილი, ფეიქრიშვილი

**XVII ტური**
17.03.07 ს ტორპედო 5:0
გოლები: იაშვილი (2), ხმალაძე, მერებაშვილი, კობახიძე

**XVIII ტური**
31.03.07 შ სიონი 1:0
გოლი: იაშვილი

**XIX ტური**
7.04.07 ს კახეთი 3:2
გოლები: იაშვილი (3)

**XX ტური**
13.04.07 შ ზესტაფონი 2:2
გოლები: იაშვილი, ფეიქრიშვილი

**XXI ტური**
21.04.07 ს ლოკომოტივი 3:0
გოლები: იაშვილი, მერებაშვილი, ოდიკაძე

**XXII ტური**
27.04.07 შ მერანი 3:0
გოლები: იაშვილი, კობახიძე, ფეიქრიშვილი

**XXIII ტური**
5.05.07 ს ოლიმპი 0:0

**XXIV ტური**
12.05.07 შ ვიტ ჯორჯია 1:0
გოლი: იაშვილი

**XXV ტური**
16.05.07 ს ჩიხურა 5:0
გოლები: იაშვილი, ხუციშვილი, მერებაშვილი, ფეიქრიშვილი, გ. კაშია

**XXVI ტური**
20.05.07 შ ბათუმი 4:2
გოლები: იაშვილი (3), ფეიქრიშვილი

26 მატჩი, 20 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება, ბურთები 57-19, 62 ქულა

მილანი

# ბერლუსკონი: შევჩენკო 80 პროცენტით ჩვენია

## რეალი კაკაში 53 მილიონ გირვანქას იხდის. რა უპირატესობა აქვს ესპანეთში თამაშს?




შევჩენკო და კაკა: ისევ ერთად თუ ისევ ცალცალკე

**ანდრეი შევჩენკოს** დაბრუნება დღეს ისე რეალურია, როგორც არასდროს. და არც **სილვიო ბერლუსკონი** ყოფილა ასეთი ოპტიმისტური. გუშინ მან აღფრთოვანებით აუწყა მედიას, რომ უკრაინელი ფორვარდი 80 პროცენტით მილანელია. გავიხსენოთ, რომ გასულ ზაფხულს შევამ "როსონერი" 30 მილიონ გირვანქად დატოვა და "ჩელსიში" გადაბარგდა, სადაც კარიერის ყველაზე მძიმე სეზონი გაატარა. **ჟოზე მოურინიოს** მასთან მუდმივად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, განსაკუთრებით შუა სეზონში, როცა სერიოზულად დადგა შევჩენკოს "მილანში" დაბრუნების საკითხი. თუმც შევას იმედი აქვს, რომ ახალ სეზონში საქმე უკეთ იქნება, ყველაფერი მაინც იქითკენ მიდის, რომ ივნისის ბოლოს ის "სტემფორდ ბრიჯს" დატოვებს.

შევჩენკოს ფრონტზე გააქტიურება **სამუელ ეტოოსთან** დაკავშირებული ოპერაციის ჩაშლით შეიძლება აიხსნას. კამერუნელს "მილანში" გადასვლა არ სურს. მან ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე განაცხადა, რომ "ბარსელონაში" რჩება. ბერლუსკონი კი იხტიბარს არ იტეხს:

*"სიმართლე გითხრათ, ეტოო ძალიან მომწონს, ის ახალგაზრდაა და დიდი ტალანტის პატრონია. მაგრამ მე რომანტიკოსი ვარ და შევჩენკო მირჩევნია. ამ რამდენიმე დღის წინათ, ჩვენს ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის ველაპარაკე და შემიძლია ვთქვა, რომ შევჩენკოს დაბრუნების შანსი 80 პროცენტია. თუ სიტუაცია შეიცვალა და ეს შანსი 50 პროცენტამდე დაეცა, გალიანი აუცილებლად ჩამაყენებს საქმის კურსში. ვიცი, რომ შევას დაბრუნება თავადაც ძალიან უნდა. მისი ხელფასის საკითხს ჩვენ არც კი განვიხილავთ, რადგან ეს პრობლემას არ წარმოადგენს. მთავარია, "ჩელსის" მოვურიგდეთ. თუ ეს მოხერხდა, ჩვენი თავდასხმის ხაზი უბრალოდ, შეუდარებელი იქნება... ესეც არ იყოს, ანდრეი ჩემთვის შვილივითაა. მე მისი ცხოვრებისეული პრობლემებისა თუ სიხარულის უშუალო მონაწილე ვიყავი, როგორც მამის ავადმყოფობის დროს, ასევე შვილის დაბადების მომენტში, თანაც, მისი პატარის ნათლიაც გახლავართ".*

"ჩელსისთან" მორიგების გარდა, ისიც მნიშვნელოვანია, რომ ბერლუსკონის სიტყვებზე შევჩენკოს გული აუჩუყდეს და საკითხი კატეგორიულად დააყენოს. "მილანისა" და ინგლისური გრანდის ხელმძღვანელებს შორის შეხვედრა ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ უნდა შემდგარიყო. თუ როდის შეხვდებიან მხარეები ერთმანეთს, ჯერჯერობით, უცნობია. ინგლისური პრესა კი ამტკიცებს, რომ **რომან აბრამოვიჩი** შევჩენკოს გაშვების წინააღმდეგი არ არის.

### კაკას შესაძლო ტრანსფერის ფინანსური მოტივი: ესპანეთში გადასახადი დაბალია

ესპანური წყაროების მტკიცებით, "რეალი" "მილანს" **კაკაში** 53 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. კაკა სამეფო კლუბის ძველი ფავორიტია, მაგრამ იტალიურ გრანდსა და ბრაზილიელ სუპერვარსკვლავს შორის კავშირი იმდენად მყარია, მადრიდულ ტრანსფერზე საუბარი ბევრს უაზრობად ეჩვენება. მაგრამ ვინ იცის? განა ვინმე იფიქრებდა, რომ იგივე შევჩენკო "მილანს" "ჩელსიზე" გაცვლიდა?

ამ საქმეს უცნაურ ელფერს სძენს ის ფაქტი, რომ კაკას მამა, **გაეტანო პალილო**, რომელიც ამავდროულად მისი აგენტიცაა, "რეალის" მესვეურებს შეხვდა და შვილის ტრანსფერის პირობები განიხილა. ახლა, კაკა შვებულებას მეუღლესთან ერთად ატარებს. მოლაპარაკებების თაობაზე ის საქმის კურსშია. გამოდის, რომ ფეხბურთელი უარს არაა "რეალში" გადასვლაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მამამისი ასე ლიად ვერ იმოქმედებდა. იტალიური "ტუტოსპორტის" გუშინდელ ნომერში ვკითხულობთ, რომ "რეალის" დირექტორები, **ფრანკო ბალდინი** და **პრედრაგ მიატოვიჩი**, უკვე მილანში არიან და **ადრიანო გალიანისთან** მოლაპარაკებებს მართავენ. მადრიდული გრანდის ოფიციალური პირები ადასტურებენ პრეზიდენტ **რამონ კალდერონის** მზადყოფნას, 25 წლის ფლეიმეიქერის სანაცვლოდ 50 მილიონ გირვანქაზე მეტი გადაიხადოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კაკას შეძენა ხომ კალდერონის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო.

თავად კაკას კი არაერთხელ უთქვამს, რომ "რეალის" დაინტერესება მისთვის უდიდესი პატივია. სამეფო კლუბი მას 5-წლიან კონტრაქტსა და სეზონურად 7 მილიონ გირვანქას სთავაზობს ხელფასის სახით. მაგრამ ცნობილია "მილანის" შეუვალი პოზიციაც - კაკა არანაირ ფასად არ იყიდება. გალიანიმ ამაზე გუშინაც ისაუბრა:

*"კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ კაკას არ ვყიდით. ვიცი, რომ ფეხბურთელის მამას "რეალის" წარმომადგენლებთან ჰქონდა საუბარი. ეს მან თავად გვითხრა. მაგრამ მე ისიც ვიცი და არცაა დასამალი, თუ რატომ ურჩევნიათ ფეხბურთელებს ესპანეთში თამაში. აქ ფინანსური მოტივია. საქმე ისაა, რომ ესპანეთში გადასახადები დაბალია. ამის გამო, წამყვან ესპანურ კლუბებს სერიოზული უპირატესობა აქვთ".*

პრემიერლიგა

# 17 საეჭვო ინგლისური ტრანსფერი

## ლორდი სტივენსის კომისიამ პირველადი დასკვნა გამოაქვეყნა

**ლორდი სტივენსის** საგამოძიებო კომისია ეჭვობს, რომ პრემიერლიგის ხუთმა კლუბმა სატრანსფერო კანონმდებლობა არაერთგზის უხეშად დაარღვია. "ჩელსის", "ნიუკასლს", "ბოლტონს", "მიდლსბროსა" და "პორტსმუთს" უხერხულ კითხვებზე პასუხების გაცემა მოუწევთ. ყველაზე მეტი ეჭვი "ბოლტონისა" და "ნიუკასლის" საქმიანობამ გააჩინა. კომისია 15 აგენტით და 17 ტრანსფერით დაინტერესდა. ლორდი სტივენსის მოხსენებაში ორი მწვრთნელის გვარს ვაწყდებით: ერთი "ბოლტონის" ყოფილი დამრიგებელი **სემ ელერდაისია**. სეზონის მიწურულს ელერდაისმა ნიუკასლს მიაშურა. მეორე ეჭვმიტანილი კი "ნიუკასლის" ყოფილი დამრიგებელი **გრემ საუნესი** გახლავთ. ელერდაისის შემთხვევაში, კომისია ინტერესთა აშკარა კონფლიქტზე საუბრობს. "ბოლტონი" გარიგების უმეტესობას იმ სააგენტოების მეშვეობით ახორციელებდა, რომელსაც მისი ვაჟი კრეი ელერდაისი განაგებს. რაც შეეხება საუნესს, კომისიას არადამაჯერებლად მოეჩვენა მისტერ გრემის განმარტებები მთელ რიგ ტრანსფერებთან დაკავშირებით. არეული და შეუსაბამო იყო კენეტ შეპერდის განმარტებებიც. ეს უკანასკნელი "ნიუკასლის" თავმჯდომარის, ფრედი შეპერდის შვილია და ტრანსფერებში აქტიურად იყო ჩართული.




დიდიე დროგბა

ზემოთ 17 საეჭვო გარიგება ვახსენეთ. ამათგან ოთხი ტრანსფერი (**ემრე ბელოზოღლუს**, **ჟან ალენ ბუმსონგის**, **ამადი ფაიესა** და **ალბერტ ლუკეს**) "ნიუკასლს" უკავშირდება; ოთხი – (**ალი ალ ჰაბსის**, **ტალ ბენ ჰაიმის**, **ბლესინგ კაკუს** და **ხულიო კორეიას**) "ბოლტონს", სამი (**დიდიე დროგბას**, **პეტრ ჩეხის** და **მიკაელ ესიენის**) –"ჩელსის", სამი (**კოლინს მბესუმას**, **მენჯანი მვარუვარის** და **ალიუ სისეს**) – "პორტსმუთს" და ორი (**იაკუბუ აიეგბენის** და **ფაბიო როშემბაკის**) – "მიდლსბროს". არის კიდევ ერთი ტრანსფერი, რომელიც რატომღაც არ გაახმაურეს. მოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი გავლენიანი ებრაელი აგენტის, **პინი ზაჰავის** მოღვაწეობას. მან კომისიასთან არ ითანამშრომლა. არადა, მისი მონაწილეობით, არა ერთი უძვირესი ტრანსფერი განხორციელდა, მათ შორის, მიკაელ ესიენისა და პეტრ ჩეხის. ლორდი სტივენსის კომისია დასკვნებს საფეხბურთო ასოციაციასა და ფიფას გადაუგზავნის.



ადრიანომ სკუდეტოც თავისებურად აღნიშნა

მოსალოდნელი გაცვლა

# რონალდინიოს ადრიანო მოუხდებოდა...

## სადილი ფიგუსთან ერთად: ინტერი და ბარსელონა ადრიანოსა და ეტოოს გაცვლაზე მორიგდნენო

"ინტერი" **ადრიანოს** მოშორებას ცდილობს. დღე არ გავა, ჭირვეული ბრაზილიელის სახელი რომელიმე კლუბს არ დაუკავშირონ - "ჩელსი", "რეალი"... ახლა კიდევ "ბარსელონა". **რობერტო მანჩინი** დაიღალა მისი მოთვინიერებით, თუმც ამას ვერა და ვერ ახერხებს. ამ დროს კი "ინტერის" ერთ-ერთი სამიზნე **სამუელ ეტოოა**, რომელიც, როგორც ამბობენ, ადრიანოზე არანაკლებ ძნელი ასატანია. მიუხედავად ეტოოს სურვილისა, რომ "ბარსელონაში" დარჩეს, მის ზურგსუკან ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. ყოველ შემთხვევაში, ესპანური გამოცემა "ელ მუნდო დეპორტივო" ამტკიცებს, რომ "ბარსასა" და "ინტერის" მესვეურებს შორის ამ თემაზე პირველი შეხვედრა 4 ივნისს გამართულა. ამ შეხვედრის ორგანიზატორი კი, არც მეტი, არც ნაკლები, **ლუიშ ფიგუ** ყოფილა. მხარეებს მილანის ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში უსადილიათ. გაზეთი დაჟინებით ამტკიცებს, რომ იტალიაში პირადად **ხოან ლაპორტა** იყო ჩასული. კატალონიელთა პრეზიდენტი "ინტერის" სპორტულ დირექტორსა და სატრანსფერო საქმეთა კურატორ **მარკო ბრანკას** შეხვდა. ლაპორტა მზადაა, ნებისმიერ დროს **მასიმო მორატისაც** ესაუბროს.

რაშია მხარეთა ინტერესები? "ბარსელონის" ბოსი ფიქრობს, რომ **რონალდინიოსა** და ადრიანოს პარტნიორობა გუნდს მეტ ეფექტს მისცემს. თავის მხრივ, "ინტერს" სწრაფი ფორვარდი სჭირდება. მაგრამ ადრიანო ეტოოზე ნაკლებად ფასობს. იტალიური გრანდი მზადაა, ფეხბურთელს ფულიც დაამატოს, სადღაც 6-7 მილიონი გირვანქის ფარგლებში.

იუვენტუსი

# მიკოლი ჯერ საეჭვოა

## ფორვარდი, რომელიც რანიერის ძალიან უნდა, შეიძლება, ბარძალიში გაცვალონ

ცნობილია, რომ "იუვენტუსის" ახალი მწვრთნელი **კლაუდიო რანიერი** **ფაბრიციო მიკოლის** დაბრუნებას ითხოვს. მიკოლი ტურინული გრანდის საკუთრებაა. ბოლო ორი სეზონი მან არენდით "ბენფიკაში" გაატარა. 27 წლის თავდამსხმელი **დავიდ ტრეზეგეს** ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილება. თითქოსდა, ტრანსფერს წინააღმდეგობა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ირკვევა, რომ მთლად ასე მარტივად არ ყოფილა საქმე. მიკოლის აგენტი **ფრანჩესკო კალიანდრო** აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში მარტო სურვილი, თუგინდ ორივე მხრიდან, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ფორვარდმა კვლავ "იუვენტუსის" მაისურა მოირგოს.

*"ტურინულ კლუბთან მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს. ამჟამად, სიტუაცია გარკვევის პროცესშია და ფრთხილად უნდა ვიყოთ. მიკოლის არასოდეს ეშინოდა კონკურენციის. ყველამ იცის, რომ მას ფორვარდის პოზიციაზეც შეუძლია თამაში და ნინწაწეულ ნახევარმცველადაც. და მან ეს არაერთხელ დაამტკიცა".*

აგენტის კომენტარიდან ნათელი ხდება, თუ რა "სიფრთხილეზეა" საუბარი. ეტყობა, მიკოლი შიშობს, რომ "იუვენტუსში" კვლავ სათადარიგო როლს მისცემენ. სწორედ ამის გამო იყო, რომ 2004 წელს ჯერ "ფიორენტინაში" განათხოვრება ითხოვა, მერე კი პორტუგალიას მიაშურა. თუ "იუვემ" თავდასხმაში რომელიმე დიდი ფიგურა იყიდა, ალბათ, მიკოლის ისევ სკამის ხეხვა მოუწევს. ფეხბურთელის მთავარი ინტერესი არა კლუბის სახელი, არამედ სათამაშო პრაქტიკაა. სხვათა შორის, მას სხვა გუნდებიც ეპატიჟებიან, და არა მარტო იტალიაში. თავად "ბენფიკაც" ცდილობს მის შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, თუ მიკოლიმ რაღაც გარანტიები ვერ მიიღო, ის არჩევანზე სერიოზულად დაფიქრდება.



მიკოლი: ერთ დროს, იუვენტუსში. შედგება დაბრუნება?

"სალენტოელ რომარიოს", როგორც ფორვარდს იტალიაში შეარქვეს, ბოლოს "პალერმოც" შეეხმიანა. აგენტი კალიანდრო ადასტურებს, რომ "პალერმო" ერთ-ერთია იმ კლუბების სიაში, რომელთაც მისი კლიენტის გადაბირება სურთ. მიმომხილველები არ გამორიცხავენ იმასაც, რომ მიკოლი გაცვლაზე დაიყოლიონ. ცნობილია, რომ "იუვეს" პალერმოელი მცველი **ანდრეა ბარძალი** აინტერესებს, მაგრამ კლუბები თანხაზე ვერ თანხმდებიან. შესაძლებელია, "ქალბატონის" მესვეურებმა მიკოლი სწორედ ამ გარიგებაში გამოიყენონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




რაფაელ ვან დერ ვაარტი

ჰამბურგი

# რაფაელი არ იყიდება

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ სერია A-ში დაბრუნებული "იუვენტუსი" "ჰამბურგისა" და ჰოლანდიის ნაკრების ლიდერით, **რაფაელ ვან დერ ვაარტით** დაინტერესდა. გუშინვე ვწერდით, რომ ტრანსფერი ერთობ არარეალურია, რადგან ტურინელები მხოლოდ 10 მილიონს იხდიან, 24 წლის ვან დერ ვაარტი კი მინიმუმ ორჯერ მეტი ღირს.

გუშინ ჩრდილოგერმანული კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ბერნდ ჰოფმანმა** იტალიურ გიგანტს პირდაპირ უარი შეუთვალა. *"არაერთხელ მითქვამს, რომ ვან დერ ვაარტი არ იყიდება. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა!"* - განაცხადა მან. ვან დერ ვაარტმა, რომელსაც HSV-სთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს, ჩრდილოგერმანული კლუბის მაისურით სულ 45 თამაში ჩაატარა და 17 გოლის გატანა შეძლო. საინტერესოა ის, რომ აპრილში ჰოფმანმა ჰოლანდიელს კონტრაქტის ნაადრევად გახანგრძლივება შესთავაზა, მაგრამ ფეხბურთელისგან უარი მიიღო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რაფაელი "ჰამბურგიდან" აბარგებას არ გამორიცხავს. ცნობილია, რომ ვან დერ ვაარტი ესპანეთში, კერძოდ კი "რეალში" გადასვლაზე ოცნებობს.

და "იუვე"? ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ჰოლანდიელი ტურინულ გიგანტზეც არ იტყოდა უარს, მაგრამ ჰოფმანის თქმით, მას "იუვენტუსისგან" კონკრეტული წინადადება ჯერ არ მიუღია. მაგრამ თუ იტალიელები "ჰამბურგს" დაუკავშირდებიან და ვან დერ ვაარტში 10 მილიონზე მეტს შესთავაზებენ, ჰოფმანი მოლბება. ფაქტია ისიც, რომ HSV-ს ბოსს ფანების ეშინია. შარშან "ჰამბურგმა" **ვან ბუიტენი, ბულარუზი** და **ბარბარესი** გაყიდა. თუკი ახლა გუნდის სულსა და გულს, ვან დერ ვაარტსაც შეელევა, გულშემატკივრები ჰოფმანს ამას აღარ აპატიებენ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რად უნდა ჩელსის პანტელიჩი?

ამას წინათაც გაცნობეთ, რომ ლონდონის "ჩელსი" ბერლინის "ჰერტას" 28 წლის ფორვარდით, **მარკო პანტელიჩით** დაინტერესდა. ეს თავის თავად ძალიან გასაკვირი ამბავია, რადგან პანტელიჩი არ გახლავთ იმ დონის ფეხბურთელი, რომ "ჩელსის" მისი გადაბირების სურვილი გასჩენოდა (მიუხედავად იმისა, რომ **ლოთარ მათეუსმა** მას თავის დროზე ახალი **ბატისტუტა** უწოდა). მაგრამ ლონდონელთა დაინტერესება სერიოზულია და ამას უკვე აღარავინ მალავს. ბერლინური კლუბის გენერალური მენეჯერი **დიტერ ჰიონესი** 28 წლის სერბ ფორვარდში სულ რაღაც 4 მილიონ ევროს ითხოვს და სავარაუდოდ, რომ "არისტოკრატები" ვაჭრობას არ დაიწყებენ. პანტელიჩი "ჰერტას" ერთ-ერთი ლიდერი და საუკეთესო ბომბარდირია, მაგრამ მაინც იბადება კითხვა: რაში სჭირდება "ჩელსის" 28 წლის სერბი?

ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ოთხშაბათს "ჩელსის" თავკაცი **ჟოზე მოურინიო** ჰიონესს კიდევ ერთხელ შეეხმიანა და შეხვედრა სთხოვა. არადა, ერთადერთი რამ, რის გამოც ეჭვი არავის ეპარება, რომ პანტელიჩი "ჩელსის" თავკაცს კარგად შეეწყობა, ის გახლავთ, რომ მარკოსაც ეგოისტი და ამაყი ადამიანის სახელი აქვს, ისევე, როგორც მოურინიოს.

*"დასამალი არაფერია: ძალიან მიკვირს, "ჩელსიმ" ჩემი გადაბირება რომ მოისურვა. ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. როცა გავიგე, რომ მოურინიოს ვუნდოდი, მთელი ღამე ვერ დავიძინე. ვიცი, ბევრს გაუკვირდება, ისეთმა გრანდმა, როგორიც "ჩელსია", ჩემი აყვანა რომ მოისურვა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ ჩემს შესაძლებლობებში და ვიცი, რომ ლონდონურ კლუბს გამოვადგები. "ჰერტაშიც" და ნაკრებშიც, არაერთხელ დამიმტკიცებია, რომ მაღალ დონეზე თამაში და გოლების გატანა შემიძლია. ვფიქრობ, ევროპის უძლიერეს გუნდში ადგილის დამკვიდრება არ გამიჭირდება,"* - განუცხადა პანტელიჩმა ინგლისელ ჟურნალისტებს.

ინტერვიუ დევიდ ბექჰემთან

# ვოცნებობდი, კარიერა ბერნაბეუზე დამესრულებინა

## ინგლისელი ვარსკვლავი არ ამბობს, მაგრამ ეტყობა, რომ სამეფო კლუბის პრეზიდენტზე ნაწყენია...

**დევიდ ბექჰემმა მადრიდის "რეალის" ფეხბურთელის რანგში უკანასკნელი პრესკონფერენცია ჩაატარა. ბოლო დროს ინტენსიურად ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ რამონ კალდერონი ინგლისელი ვარსკვლავის კონტრაქტს გამოისყიდდა, თუმცა თავად ბექსმა განაცხადა, რომ სამეფო კლუბში მისი დარჩენის შესაძლებლობა არ არსებობს. "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევა გამორიცხულია. დოკუმენტი ამ პუნქტს უბრალოდ არ შეიცავს. მოკლედ, კვირას დევიდი მადრიდული გრანდის ღირსებას უკანასკნელად დაიცავს და შემდეგ ამერიკისკენ აიღებს გეზს.**

**- სამომავლოდ "რეალში" დაბრუნების შესაძლებლობა ხომ არ არსებობს?**

- არა, ეს შეუძლებელია. კვირას ბოლო შეხვედრას ჩავატარებ. რატომღაც ბოლო დღეებში ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, თითქოს "გალაქსისთან" გაფორმებული კონტრაქტის დარღვევის უფლება მაქვს. ეს არ არის სიმართლე. პროფესიონალი გახლავართ და ვალდებული ვარ, რომ ხელშეკრულებას პატივი ვცე. ასეც რომ არ იყოს, კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში ფიფას დისკვალიფიკაცია არ ამცდება. მოკლედ, მივდივარ. მადრიდში რამდენიმე დღელა დავრჩები. დიდი იმედი მაქვს, რომ ესპანეთის ჩემპიონები გავხდებით.

**- როდის გადაწყვიტეთ მადრიდიდან წასვლა?**

- იანვარში კლუბის ხელმძღვანელებმა გარკვევით მითხრეს, რომ კონტრაქტს არ გამიგრძელებდნენ. როცა ამ ყოველივეს პირში გეუბნებიან, დიდი არჩევანი არ გრჩება. უბრალოდ, უნდა წახვიდე. მერწმუნეთ, ამ გადაწყვეტილების მიღება არ გახლდათ იოლი. იმედია, გულშემატკივრები გამიგებენ, თუ რატომ გადავდგი ეს ნაბიჯი. სხვა გზა არ მქონდა. მერწმუნეთ, "რეალი" და ესპანეთი ძალიან მომენატრება.

**- როგორც გავიგეთ, კალდერონი სამეფო კლუბში დარჩენის შესაძლებლობების განსახილავად შეგხვდათ...**

- ცრუ ინფორმაციაა, პრეზიდენტი არც ერთ საკითხზე სასაუბროდ არ შემხვედრია. დიდი ხანია, მასთან არ მილაპარაკია.

**- კიდევ რას ეტყვით იმ გულშემატკივრებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სამეფო კლუბში მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაში უმაღლეს დონეზე იასპარეზებდით?**

- სპორტსმენის ცხოვრებაში დგება დღე, როცა მძიმე გადაწყვეტილება უნდა მიიღო. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, იანვარში ხელმძღვანელობამ გარკვევით მითხრა, კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ვაპირებთო. არადა, ყველამ იცოდა, რომ მიმდინარე წლის ივნისში ხელშეკრულების ვადა მეწურებოდა. მოკლედ, მათ ახალი სტრატეგია შეადგინეს, რომელშიც მე არ მოვიაზრებოდი. ყველა გულშემატკივარს ვთხოვ, კარგად გამიგოს. მითხრეს, დიდი მადლობა იმისთვის, რაც აქამდე გააკეთე, მაგრამ მომავალში არ გვჭირდებიო. ამის შემდეგ სხვა გზა აღარ მქონდა. ყოველთვის ვამბობდი, რომ ამერიკაში თამაში მსურდა, თუმცა, ვფიქრობდი, რომ ოკეანის გაღმა რამდენიმე წლის შემდეგ გადავბარგდებოდი. ხსენებული მიზეზების გამო პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა. მადრიდელ გულშემატკივრებს არასოდეს დავივიწყებ. ისინი გენიალური ადამიანები არიან. ვაცნობიერებ, რომ მათთვის გაცილებით მეტის გაკეთება შემეძლო. არ ცდება ვინც ფიქრობს, რომ კიდევ ორი-სამი წელიწადი შემეძლო უმაღლეს დონეზე მეთამაშა. უფრო მეტიც, ვოცნებობდი, კარიერა "სანტიაგო ბერნაბეუზე" დამესრულებინა.

**- აშკარაა, გულდაწყვეტილი ხართ. საინტერესოა, კალდერონსა კაპელოზე ნაწყენი ხომ არ დარჩით?**

- სწორედ ამ ადამიანების გადაწყვეტილების გამო მიწევს მადრიდიდან წასვლა, მაგრამ გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ყველაფრის მიუხედავად, მათ დიდ პატივს ვცემ. კაპელოს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მივიჩნევ. მას უდიდეს წარმატებებს ვუსურვებ.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტა კაპელომ თქვენი გაშვება?**

- ჩემი აზრით, ამ ნაბიჯის გადადგმისას მხოლოდ საფეხბურთო მოტივებით არ ხელმძღვანელობდნენ. სხვას ვერაფერს მოგახსენებთ.

**- უახლოეს წარსულს თუ გავიხსენებთ, აღმოვაჩენთ, რომ კლუბის მაღალჩინოსნები "გალაქსისთან" კონტრაქტის გაფორმებას უდიდესი ირონიით შეხვდნენ. იმასაც ამბობდნენ, ბექჰემი ლოს ანჯელესში ნახევრად ფეხბურთელი, ნახევრად კი მსახიობი იქნებაო. სხვათა შორის, კალდერონიც ასე ფიქრობდა...**

- მას შემდეგ, რაც სამეფო კლუბში გადმოვედი უამრავი რამ მოხდა. არაერთი მწვრთნელი გამოვიცვალე. ფეხბურთელებიც მიდიოდნენ და მოდიოდნენ. ცვლილებები პრეზიდენტებსაც შეეხოთ. ზოგჯერ მეტად დაფასებული ვიყავი, ზოგჯერ ნაკლებად, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მადრიდის "რეალს" უდიდეს პატივს ვცემ. მართალია, ჩემს ცხოვრებაში ბევრი უცნაური და გაუგებარი რამ მოხდა, მაგრამ პირობას გაძლევთ, სამეფო კლუბს არასოდეს გავაკრიტიკებ. უბრალოდ არ შემიძლია, რომ ფანტასტიკური გულშემატკივრების გუნდზე კრიტიკულად ვისაუბრო. აქ ფლორენტინომ ჩამომიყვანა. პირველივე დღიდან ვიგრძენი, რომ უდიდეს იმპერიაში ამოვყავი თავი. ინჩადა ამ იმპერიის საუკეთესო ნაწილია. ქომაგებს ყველაფრისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ.

**- გულწრფელად მითხარით, სამეფო კლუბის ხელმძღვანელებმა გული გატკინეს?**

- მოდით, "რეალისთვის" ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენაზე, "მალიორკასთან" საკვირაო შეხვედრაზე ვისაუბროთ. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ ჩემთვის ამ მატჩს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. "ბერნაბეუზე" მხოლოდ უდიდეს ვარსკვლავებთან, რაულთან, ფიგუსთან, ზიდანთან, რონალდოსა და რობერტო კარლოსთან ერთად სათამაშოდ არ ჩამოვსულვარ. ჩემი მთავარი ამოცანა პროფესიული ზრდა და ტიტულების მოპოვება გახლდათ. ახლა ყველა პირობა გაგვაჩნია იმისთვის, რომ კვირას ნანატრი ჯილდო დავისაკუთროთ.

**- ეს სეზონი ძალიან რთული იყო?**

- ყველაზე რთული, მათ შორის, რომელიც "რეალში" გამიტარებია. პრობლემებს არა მარტო საფეხბურთო მოედანზე, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ვაწყდებოდი. ისეთი რაღაცები ხდებოდა, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. საბედნიეროდ, გვერდით ოჯახი მედგა. მეგობრებიც ყოველმხრივ მეხმარებოდნენ.

**- და მაინც, დევიდ ბექჰემი ტოვებს "რეალს", თუ "რეალმა" გააგდო დევიდ ბექჰემი?**

- (იცინის) რატომ მამეორებინებთ ერთსა და იმავეს? გადაწყვეტილება მიღებულია და ამას არაფერი აღარ შეცვლის. დიდი ხნის განმავლობაში არამარტო ძირითად შემადგენლობას, არამედ სავარჯიშო მოედანსაც მოკვეთილი ვიყავი. დამეთანხმებით, ჩემი დონის ფეხბურთელისთვის ეს საკმაოდ უცნაური მდგომარეობაა. არადა, მზად ვიყავი, მთელი ცხოვრება გამეღო იმისთვის, რომ "რეალის" მაისურის პრესტიჟი დამეცვა.

**- გული იმაზეც არ გტკივათ, რომ უმაღლესი დონის ფეხბურთს ტოვებთ და მეორეხარისხოვან ამერიკულ ლიგაში მიდიხართ?**

- ტკივილი არ არის ის სიტყვა, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ. 15 წელია, უმაღლეს დონეზე ვასპარეზობ. რა თქმა უნდა, ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამერიკული ლიგა ევროპული ფეხბურთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ჩემთვის დიდი პატივია, რომ წლების განმავლობაში ისეთი გრანდების ღირსებას ვიცავდი, როგორებიც "მანჩესტერ იუნაიტედი" და "რეალი" არიან. სამეფო კლუბის გულშემატკივრებს სიყვარულში კიდევ ერთხელ გამოვუტყდები. გული მწყდება, რომ ასეთ ინჩადას ვემშვიდობები. რა გაეწყობა, ასეთია ცხოვრება.

**- მიატოვიჩზე რას ფიქრობთ?**

- ის უდიდესი ფეხბურთელი იყო. ადამიანი, რომელმაც "რეალის" ისტორიაში განსაკუთრებული როლი ითამაშა. გენერალური დირექტორის ამპლუაში მიატოვიჩმა მრავალი კარგი საქმე გააკეთა. პრედრაგს დიდ პატივს ვცემ. ამ ადამიანმა ყოველთვის ზედმიწევნით კარგად იცის, როდის რა უნდა გააკეთოს.

**- თქვენი მადრიდული ცხოვრების საუკეთესო მოგონებაზე რას გვეტყვით?**

- ყველაზე კარგად ის დღე მახსენდება, როცა "ბერნაბეუზე" მოვედი და კონტრაქტი გავაფორმე. მართლაც შესანიშნავი განწყობა დამეუფლა, თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ მადრიდული კარიერის საუკეთესო მოგონება 17 ივნისი გახდება. კვირას ფინალი უნდა მოვიგოთ და ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს დავეუფლოთ.

**- ბალეარელებთან გადამწყვეტ ორთაბრძოლას როგორ ეგებებით?**

- მე და მსოფლიო ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა რობერტო კარლოსი "სანტიაგო ბერნაბეუზე" უკანასკნელად ვიასპარეზებთ. ამ თამაშის შემდეგ, კლუბსა და გულშემატკივრებს გამოვემშვიდობებით. განწყობა ოპტიმისტურია, თუმცა რა თქმა უნდა, სევდაც მიპყრობს. ბოლო თამაშის მაისურს არავის გავუცვლი, მას როგორც განძს ისე გავუფრთხილდები. სხვათა შორის, პირველი მატჩის მაისურაც შენახული მაქვს (იცინის). მოდით, პრესკონფერენციას ისე ნუ დავასრულებთ, რომ ერთ გენიალურ ადამიანზე არაფერი ვთქვა! რაული მადრიდიზმის ბასტიონია. ფანტასტიკური ადამიანი და ფეხბურთელი. კაცი, რომელიც ყველასთვის შუქს ასხივებს.

**- ნახვამდის, დევიდ!**

- ეს ჩემი ბოლო პრესკონფერენციაა. უკლებლივ ყველა ჟურნალისტს დიდ მადლობას მოგახსენებთ, იმ შრომისთვის, რომელიც ჩემი თამაშისა და როლის შესრულების შეფასებისას გასწიეთ. გემშვიდობებით და კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ. იმედია, კვირას გულშემატკივრებს საჩემპიონო ტიტულის მოპოვებით დავემშვიდობები. მე და რობერტო კარლოსი, ალბათ, ყველაზე მეტად მოტივირებულები ვართ. სხვები რჩებიან და კიდევ მიეცემათ შესაძლებლობა. ორი ადამიანისთვის კი "მალიორკასთან" მატჩი უკანასკნელი შანსია. მანამ ცრემლები არ წამომსვლია, სჯობს დავასრულოთ. კვირას შევხვდებით.




დევიდ ბექჰემის ბოლო მადრიდული პრესკონფერენცია

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXVIII ტურის წინ

# რეალს სტატისტიკა არ აინტერესებს

## მალიორკა სამეფო კლუბისთვის უხერხული მეტოქეა, მაგრამ კაპელოს ბიჭებს წარსული ფეხებზე ჰკიდიათ...

**ხვალ**

**რეალი-მალიორკა**
**ხიმნასტიკი-ბარსელონა**
**სევილია-ვილიარეალი**
**რეკრეატივო-სარაგოსა**
**ოსასუნა-ატლეტიკო**
**რასინგი-ბეტისი**
**ბილბაო-ლევანტე**
**სელტა-ხეტაფე**
**ვალენსია-სოსიედადი**
**ესპანიოლი-რეკრეატივო**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კვირას მთელი ესპანეთისა და ზოგადად ესპანური ფეხბურთის ყველა მოყვარულის ყურადღება მადრიდისა და ტარაგონისკენ იქნება მიპყრობილი. ხვალ 2006-2007 წლების სეზონის გამარჯვებულის ვინაობა გაირკვევა. ფავორიტად, რა თქმა უნდა, "რეალი" მიიჩნევა. "ბარსელონისგან" განსხვავებით, მადრიდელები მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე არიან დამოკიდებულები. თუ მოიგებენ, ჩემპიონის ტიტულს ველარავინ შეეცილება. წლევანდელმა კალენდარმა ისე ინება, რომ ბოლო ტურში სამეფო კლუბი "მალიორკას" დაპირისპირებოდა. გუნდს, რომელმაც 2000 წლის შემდეგ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. აქედან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბალეარელები დედაქალაქელებისთვის უხერხული მეტოქეები არიან. თავად განსაჯეთ, "ბერნაბეუზე" ბოლო ექვსი ვიზიტისას კუნძულელებმა 10 ქულა მოიპოვეს. სრული სტატისტიკა კი ასე გამოიყურება: სამი გამარჯვება, ერთი ფრე და ორი მარცხი. აღსანიშნავია, რომ ასეთი შედეგისთვის ბოლო შვიდი წლის განმავლობაში სამეფო კლუბის ყველაზე დიდ მტერსა და ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს, "ბარსელონასაც" არ მიუღწევია. კატალონიელებს ძალიან დიდი იმედი აქვთ, რომ "მალიორკა" ტრადიციას ამჯერადაც არ დაარღვევს და **ფაბიო კაპელოს** ბიჭებს ქულებს დააკარგვინებს. წინა ტურში მათ "სარაგოსის" საჩუქარი ვერ გამოიყენეს და ჩემპიონობის რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან. მიუხედავად ამისა, ისინი იმედს მაინც არ ჰკარგავენ.



ფაბიო კაპელო

რა თქმა უნდა, დედაქალაქელებს სულ სხვა მიზნები და იმედები აქვთ. სტატისტიკა სტატისტიკად, მაგრამ კაპელოს შეგირდები აცნობიერებენ, რომ ამჯერად ყველაფერი თავიდან დაიწყება და საკვირაო შეხვედრას წინა მატჩებთან არაფერი ექნება საერთო. სამეფო კლუბის დამრიგებელმა გასული დღეების განმავლობაში ნაყოფიერი ვარჯიშები ჩაატარა. **დევიდ ბექჰემმა** ინგლისის ნაკრებში მიღებული და "სარაგოსასთან" მატჩში გამიზეზებული ტრავმა მოირჩინა. გადაწყვეტილია, რომ ბექსი ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს. ტრავმა მოიშუშა **ფერნანდო გახომაც**. არგენტინელმა ნახევარმცველმა ბოლო ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. კაპელო მისი მონდომებითა და მომზადებით კმაყოფილი დარჩა.

"ხიმნასტიკთან" მატჩის წინ ერთ-ერთ ვარჯიშზე "ბარსელონას" ამერიკული ნაციონალური საკალათბურთო ლიგის სუპერ ვარსკვლავი **კობი ბრაიანტი** ესტუმრა. აღსანიშნავია, რომ ბარსელონაში დასასვენებლად გამგზავრება მან საქართველოს ნაკრების ყოფილი გამთამაშებლის, **შემონდ უილიამსის** რეკომენდაციით გადაწყვიტა. "ლოს ანჟელეს ლეიკერსის" ფორვარდი ბაზაზე გაუფრთხილებლად მივიდა. "მერსედესი", რომელსაც მძღოლი მართავდა იმ ჭიშკართან გაჩერდა, რომლითაც მხოლოდ ფეხბურთელები და კლუბის თანამშრომლები სარგებლობენ. დაცვის სამსახურის ოფიცერმა ბრაიანტი ვერ იცნო და ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა. მათ საუბარს სრულიად შემთხვევით, "ბარსას" საკალათბურთო გუნდის პრესსამსახურის თანამშრომელი შეესწრო და გაოცებისგან პირი დაალო. მისი ჩარევის შემდეგ ბრაიანტი პირდაპირ სავარჯიშო მოედანზე მიიყვანეს. ცნობილია, რომ კობი ფეხბურთის დიდი მოყვარულია და გადაწყვიტა, ბარსელონაში ყოფნით ესარგებლა და **რონალდინიო** მოენახულებინა. გაუჩომ ამერიკელი ვარსკვლავი გულთბილად მიიღო. რიიკაარდმა ვარჯიში მცირე ხნით შეწყვიტა კიდეც. ბოლოს ბრაიანტი "ბარსას" მაღალჩინოსნებთან ერთად გისოსებს მიღმა დადგა და ვარჯიშს ბოლომდე ადევნა თვალი. არ ვიცით, რამდენად დაეხმარება კობის ვიზიტი კატალონიელებს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში, მაგრამ ადგილობრივი პრესის მტკიცებით, ბარსელონელები იმ დღეს განსაკუთრებულად მონდომებულები ვარჯიშობდნენ. რიიკაარდს საუკეთესო შემადგენლობასთან მუშაობის საშუალება მიეცა. "ხიმნასტიკთან" მატჩში ძირითად შემადგენლობას რონალდინიო დაუბრუნდება. მოგეხსენებათ, ბრაზილიელმა ფორვარდმა "ესპანიოლთან" შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. გაუჩო ახლა კარგადაა მომზადებული, მაგრამ შესაძლოა, მის მატარებელს უკვე ჩავლილი ჰქონდეს. ვიმეორებთ, "ბარსელონამ" კატალონიურ დერბიში ორი ქულის დაკარგვით განუმეორებელი შანსი გაუშვა ხელიდან. რიიკაარდსა და მის ბიჭებს სასწაულიღა თუ უშველის.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 37 | 22 | 7 | 8 | 63-39 | 73 |
| 2. ბარსელონა | 37 | 21 | 10 | 6 | 73-32 | 73 |
| 3. სევილია | 37 | 21 | 8 | 8 | 64-34 | 71 |
| 4. ვალენსია | 37 | 20 | 5 | 12 | 54-39 | 65 |
| 5. სარაგოსა | 37 | 16 | 11 | 10 | 54-42 | 59 |
| 6. ვილიარეალი | 37 | 17 | 8 | 12 | 47-44 | 59 |
| 7. ატლეტიკო | 37 | 16 | 9 | 12 | 44-38 | 57 |
| 8. რეკრეატივო | 37 | 15 | 8 | 14 | 53-51 | 53 |
| 9. ხეტაფე | 37 | 14 | 10 | 13 | 38-31 | 52 |
| 10. რასინგი | 37 | 12 | 14 | 11 | 42-46 | 50 |
| 11. მალიორკა | 37 | 14 | 7 | 16 | 40-44 | 49 |
| 12. ესპანიოლი | 37 | 12 | 13 | 12 | 45-50 | 49 |
| 13. ოსასუნა | 37 | 13 | 7 | 17 | 50-47 | 46 |
| 14. დეპორტივო | 37 | 11 | 11 | 15 | 29-44 | 44 |
| 15. ლევანტე | 37 | 10 | 12 | 15 | 37-51 | 42 |
| 16. ბეტისი | 37 | 7 | 16 | 14 | 34-49 | 37 |
| 17. ბილბაო | 37 | 9 | 10 | 18 | 42-62 | 37 |
| 18. სელტა | 37 | 9 | 9 | 19 | 38-58 | 36 |
| 19. სოსიედადი | 37 | 8 | 10 | 19 | 29-44 | 34 |
| 20. ხიმნასტიკი | 37 | 7 | 7 | 23 | 33-64 | 28 |



რაიან გიგზი

ინტერვიუ რაიან გიგზთან

# აი, ის ჯილდოები, რომლებიც უნდა მოიგოთ...

**"მანჩესტერ იუნაიტედის" დამსახურებულმა ვეტერანმა რაიან გიგზმა კლუბის ოფიციალური საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში ანტილონდონურ ნიშნებზე, "მენიუს" სხვადასხვა თაობის სათამაშო განსხვავებებზე, კრისტიანო რონალდოს ოსტატობასა და სხვა საინტერესო თემებზე ისაუბრა...**

**- სად იყავით, როცა ცნობილი გახდა, რომ "მანჩესტერ იუნატიტედი" ინგლისის ჩემპიონი გახდა?**

- მეგობართან სტუმრად გახლდით. მეტოქეების მატჩებს იშვიათად ვადევნებ თვალ-ყურს. ამ სეზონში, შინ ორ-სამჯერ ვუყურე ტელევიზიით "ჩელსის" თამაშს. ლონდონელებმა ის მატჩები მოიგეს. ერთხელაც, სტუმრად გახლდით და მეგობართან ერთად "ჩელსი"-"ნიუკასლის" მატჩს ვუყურე. მაშინ, "ლურჯებმა" ფრეს მიაღწიეს. არ მეგონა, რომ "ნიუკასლს" რაიმე შანსი ექნებოდა. მერე ვფიქრობდი, რომ კარგი იქნებოდა, ისევ იმ მეგობართან მივსულიყავი და "არსენალთან" მატჩისთვის მეყურებინა...

**- საფინალო სასტვენზე როგორი რეაგირება მოახდინეთ?**

- დიახ, დიდად ვისიამოვნე! რამდენიმე მეგობარი მესტუმრა, ისინი "იუნაიტედს" ქომაგობდნენ, ასე რომ, გამარჯვება საუცხოოდ აღვნიშნეთ. მაგრამ ჩემი თანაგუნდელების ნახვა და ასეთ დროს მათთან ერთად ყოფნა უფრო მეტად მსურდა. მართალი გითხრათ, "ვესტ ჰემთან" მატჩის დასრულებას არც კი დაველოდეთ და გულშემატკივრებთან ერთად, გვარიანად მოვილხინეთ.

**- რამდენად ძნელი გამოდგა "მანჩესტერ სიტისთან" მატჩი? სერ ალექსმა განაცხადა, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი სრულიად გამოფიტული ჩანდა...**

- ეს სწორედ მე მეხებოდა. თამაში გაძნელდა, "მილანთან" დამარცხების შემდეგ, დასასვენებლად დროც აღარ დაგვრჩა... მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, რომ ჩემპიონობისთვის საჭირო შედეგისთვის მიგვეღწია. ყველაფრის მიუხედავად, იძულებული ხარ, მოედანზე გახვიდე და მნიშვნელობა არ აქვს, დაიღალე თუ არა. ამგვარ სიტუაციაში გუნდი ერთ მუშტად უნდა შეიკრას და ასეც მოხდა, თავს კარგად ვიცავდით და მოედანზე კონტროლიც შევინარჩუნეთ. რა თქმა უნდა, ცოტათი ბედმაც გაგვიღიმა, როცა კრისტიანო რონალდო საჯარიმოში წააქციეს და 11-მეტრიანი დაინიშნა. ბუნებრივია, არავინ ფიქრობდა, რომ თამაში უკვე დასრულდა, თუმცა ყველამ იცოდა, როგორ უნდა მიგვეყვანა მატჩი გამარჯვებამდე.

**- "ოლდ ტრეფორდზე" სერ ალექსმა სამი დიდი გუნდი შექმნა. "მესამეს" სწორედ თქვენ გიწოდებენ. რით განსხვავდება ის ამ წინა ორი გუნდისგან?**

- ვფიქრობ, ახლანდელი გუნდი 1993 წლის ფორმაციას ჰგავს, გუნდს, რომელშიც ვთამაშობდით მე, შარპი, კანჩელსკისი... ძირითადად კონტრშეტევებს მივმართავდით და ისეთ ფეხბურთელებთან ერთად, როგორებიც არიან ინსი და კინი, საკუთარიდან მეტოქის საჯარიმომდე შეგვეძლო თამაში. ახლაც იგივე ხდება. რუნი და კრისტიანო კარგ ტემპში შეტევაზე გადასვლის საშუალებას გვაძლევენ. ამას დიდი სისწრაფით ვაკეთებთ, ვინაიდან შეტევა ჩვენი მიზანია. ამ სეზონში დაცვის ხაზსაც მოუწია ჩვეულებრივზე მეტად მუშაობა. უნდა ითქვას, რომ ჩვენმა მცველებმა მოვალეობას თავი საუცხოოდ გაართვეს.

**- რა როლი ითამაშა საბოლოო გამარჯვებაში თქვენი მცველების, განსაკუთრებით კი ფერდინანდ-ვიდიჩის წყვილის სტაბილურობამ?**

- ამ ჩემპიონატის მიხედვით დაცვის სტაბილურობის შეფასება ძნელია. ჩემპიონობა თუ გსურს, გუნდში დაცვის უძლიერესი ოთხეული და კარგი მეკარე უნდა იყოს. მაგალითად, "ჩელსის" ცენტრალური კვანძი, კარვალიო-ტერი, წარმატებული თამაშის უმთავრესი მიზეზი გახლდათ. თუ არ ვცდები, მათ გასული სეზონის თითქმის ყველა მატჩი ითამაშეს. რაღაც მსგავსი ჩვენთანაც იყო. მხოლოდ რიოსა და ვიდიჩზე კი არ ვლაპარაკობ, არამედ მთელ დაცვაზე, რომელიც შეტევაში აქტიურად თამაშისა და ბევრი გოლის გატანის საშუალებას გვაძლევდა. ჩვენ წინ მივიწევდით და ვიცოდით, რომ ზურგს საიმედოდ გვიმაგრებდნენ.

**- გასულ სეზონში რომელმა თანაგუნდელმა დატოვა თქვენზე დიდი შთაბეჭდილება?**

- არ მიყვარს რომელიმეს ამორჩევა, თუმცა კრისტიანო რონალდო მართლაც ძალიან კარგი იყო. ასეთ ახალგაზრდულ ასაკში სტაბილურად მაღალ დონეზე თამაში მეტად ძვირად ფასობს. გარემარბი ყოველთვის უნდა ფიქრობდეს, რომ პარტნიორები კარგი პასებით მოამარაგოს. ამ მხრივ, ძალზე ძნელია სტაბილურობის მიღწევა, თუმცა კრისტიანომ ეს მოახერხა და ამას ყველა აღიარებს. თუმცა გამარჯვების ნამდვილი მიზეზი გუნდური თამაშია. მწვრთნელმა თავიდანვე გვითხრა, რომ ყოველი ფეხბურთელი ერთი მთლიანის ნაწილი უნდა იყოს. ახლა თამაშის სტილი შეიცვალა. 20 წლის წინათ, ჩემი კარიერის დასაწყისში, ძირითადი შემადგენლობისთვის 14-15 ფეხბურთელი გვყავდა, ახლა კი 20-23 გვყავს. ჰენრიკ ლარსენი 10 კვირით მოვიდა და საერთო გამარჯვებაში ძალზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. გუნდში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც თავისუფლად შეუძლია ტრავმირებულთა შეცვლა.

**- თქვენი თამაშის ხარისხზე მთელი სეზონის განმავლობაში საუბრობდნენ. თუმცა "ფულჰემთან", "ლივერპულსა" და "ევერტონთან" მატჩებში გუნდის ხასიათიც გამოჩნდა...**

- თქვენ შეგიძლიათ, გახვიდეთ მოედანზე და მრავალი გოლი გაიტანოთ, ისე, როგორც ეს "ბოლტონთან" მოხდა, ანდა მეორე ტაიმში "ბლექბერნთან", მაგრამ ასე თამაში მთელი სეზონის განმავლობაში არ გამოვა. ხშირად მედგარ წინააღმდეგობას აწყდები, ნერვიულობ 0:0-ზე, ან კიდევ უფრო უარესი - მატჩის ბოლოს გოლს უშვებ. ამგვარ სიტუაციაში, მთავარია, პანიკას არ აყვე და გამოცდილმა მოთამაშეებმა იციან ამის წამალი. სწორედ ამ ფაქტორებით ყალიბდება გუნდის ხასიათი. "ლივერპულთან" მატჩი კარგი მაგალითი გამოდგა. ჩემპიონ გუნდებს, სეზონის მიმდინარეობისას, ბოლო წამებზე გააქვთ გოლები და ეს ხშირად ხდება იმ მატჩებში, რომელშიც, როგორც ამბობენ, თამაში არ გამოდის.

**- რას გრძნობს ჩემპიონის მრავალი ტიტულის მფლობელი?**

- ყველაზე მეტად მახარებს ის, რომ "ლივერპულის" ორი ფეხბურთელის, ფილ ნილისა და ალან ჰანსენის რეკორდი მოვხსენი. მაგრამ ვიდრე ჩემპიონატი არ დამთავრდა, რიგით მეცხრე ტიტულზე არ ვფიქრობდი. ჩვენ გვსურდა, სამწლიანი ლოდინის შემდეგ კვლავ აღგვემართა გამარჯვების თასი.

**- რით განსხვავდება ეს ტიტული დანარჩენებისგან?**

- იმით, რომ მისთვის ბევრი ოფლისღვრა მომიწია. ჩემპიონატში გამარჯვებისთვის, ახლა ადრეულზე უფრო მეტად ძლიერი უნდა იყო. ჩვენი ბოლო ტიტულიდან დღემდე სიტუაცია ჯერ "არსენალმა", შემდეგ კი "ჩელსიმ" შეცვალა. ამ სეზონში ჩვენი ახალგაზრდული გუნდიდან ცოტამ თუ იცოდა, რას ნიშნავს ინგლისის ჩემპიონობა, ამიტომ, მათ კარგი სტიმული მიიღეს. ახალმოსულებს მწვრთნელი ყოველთვის ეუბნება - "აი, ის ჯილდოები, რომლებიც უნდა მოიგოთ". და ეს სწორია. იცით, რაზე ვოცნებობდი, როცა გავიგეთ, რომ ჩემპიონები გავხდით? მათი სახეების ნახვა მსურდა. მახსოვს ის გრძნობა, როცა პირველად მოვირგეთ ჩემპიონის მედლები. ამგვარი რამ არავის ავიწყდება.

**- თუ არ ვცდები, ეს 1993 წელს მოხდა?**

- დიახ, ასეა. წლევანდელმა ჩემპიონობამ ის ოქრო მომაგონა. ადრინდელის მსგავსად, ახლაც ერთიანობის წყალობით გავიმარჯვეთ. ახლა კლუბში საუცხოო ატმოსფეროა და ყველამ იცის, რომ გამარჯვებაში საკუთარი წვლილი მიუძღვის.

**- ბოლო ორი წლის განმავლობაში "ჩელსი" დომინირებდა არა მარტო სატრანსფერო ბაზარზე, არამედ მოედანზეც. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მეტოქის დამარცხება?**

- ეს იყო სერიოზული გამოწვევა არა მარტო ჩვენთვის, არამედ სხვა გუნდებისთვისაც. "ჩელსიმ" ფული იშოვა და იმ ფეხბურთელს იყიდის, რომელიც თვალში მოუვა. როცა ყველა მოთამაშე ჯანმრთელია, მწვრთნელს თავისუფლად შეუძლია ორი ერთნაირი დონის გუნდის შექმნა.

**- როგორ იმოქმედებს "მანჩესტერ იუნაიტედის" მომავალზე ეს წარმატება?**

- ის ფეხბურთელები, რომლებიც ჯერ ჩემპიონები არ გამხდარან, მოედანზე მომავალ წარმატებებში დარწმუნებულნი გავლენ. გასულ სეზონში მიღებული გამოცდილების ხარჯზე, მომავალში სირთულეებს ადვილად დაძლევენ. ჩვენ კი, თუ საჭირო იქნება, შევახსენებთ - რა და როგორ უნდა გაკეთდეს.

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერდერი

# კარლოს ალბერტო ბრემენში მიდის

## მან დიეგოსთან ერთად მრისხანე დუეტი უნდა შექმნას...


კარლოს ალბერტო

"ბაიერნის" ხმაურიანი ტრანსფერების შემდეგ (**ლუკა ტონი, ფრანკ რიბერი**), სხვა გერმანული გრანდებიც იძულებულნი ხდებიან, სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურონ. ცხადია, ამ მხრივ ყველაზე მეტი რეკორდმაისტერის უმთავრეს კონკურენტ "ვერდერს" მოეთხოვება - გუნდს, რომელიც ბოლო წლებში სტაბილურ გრანდად ჩამოყალიბდა და მიუნხენურ გიგანტს ყველაზე დიდ კონკურენციას უწევს. იმ დროს, როცა ბავარიული სუპერკლუბი ბრემენულ გუნდს **მიროსლავ კლოზეს** გამო ექიდავება, "მუსიკოსები" ერთ ხმაურიან ტრანსფერს ამზადებენ. "ბილდის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 99 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ "ვერდერი" 22 წლის ბრაზილიელ ნახევარმცველ **კარლოს ალბერტოს** გადაიბირებს. ეს უკანასკნელი რიო დე ჟანეიროს "ფლუმინენსეში" ასპარეზობს და როგორც იცით, "მუსიკოსები" მას დიდი ხანია აკვირდებიან. მეტიც, ბრემენელთა გენერალურმა მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** ცოტა ხნის წინათ განაცხადა, კარლოს ალბერტო ჩვენთან გადმოსვლის სერიოზული კანდიდატია და თუ მის ყიდვას გადავწყვეტთ, პრობლემა არ შეგვექმნებაო. კარლოს ალბერტომ თანამემამულე **დიეგოსთან** ერთად ნახევარდაცვაში მრისხანე დუეტი უნდა შექმნას.

ბრემენულ კლუბს ამ ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების გამო პრობლემები ექმნებოდა. "ბილდის" ცნობით, ეს საკითხი უკვე მოგვარებულია - "მუსიკოსებმა" ინგლისურ სააგენტო MSI-სთან (Media Sports Investment), რომელიც ხსენებულ მოთამაშეს პატრონობს, ყველაფერი შეათანხმეს. ალოფსი ლონდონში იმყოფებოდა და ხსენებულ აგენტურას ერთწლიან იჯარაზე შეუთანხმდა. თუმცა ბრემენელებს კარლოს ალბერტოს უპირატესი შესყიდვის უფლება ექნებათ და თუ ბრაზილიელი თავს გამოიჩენს, მისი საბოლოოდ გადაბირება სულ რაღაც 1.1 მილიონი ევრო დაუჯდებათ. ცნობილია, რომ 22 წლის ბრაზილიელს "ჰამბურგიც" ეპატიჟებოდა, მაგრამ მას მერე, რაც მისით "ვერდერი" დაინტერესდა, HSV თამაშიდან გავიდა.

ვინ არის კარლოს ალბერტო? მიუხედავად იმისა, რომ 22 წლისაა, უკვე სრულყოფილი ფეხბურთელი გახლავთ. "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა **ჟოზე მოურინიომ** ის 2004 წლის იანვარში "ფლუმინენსედან" "პორტუში" წაიყვანა და ნდობა გამოუცხადა. ტრანსფერიდან ხუთი თვის შემდეგ კარლოს ალბერტომ პორტუგალიურ კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო. მეტიც: გეხსომებათ, რომ ფინალში, "მონაკოსთან", ანგარიში სწორედ მან გახსნა. პორტუგალიელებმა საკონტინენტთაშორისო თასიც მასთან ერთად მოიგეს. "პორტუში" გატარებული დროიდან კარლოს ალბერტო ჩინებულად იცნობს დიეგოს. ალსანიშნავია, რომ მას ბრაზილიის ნაკრებში 5 თამაში აქვს ჩატარებული. ერთ-ერთი ინფორმაციით, კარლოსი "ვერდერში" გადასვლას იმიტომაც თანხმდება, რომ იქ დიეგო თამაშობს.

### შალკე: აპია არ გამოდის

"შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** ოთხშაბათს განის ნაკრებისა და "ფენერბაჰჩეს" ნახევარმცველ **სტეფან აპიას** ესაუბრა. როგორც იცით, გელზენკირხენულმა კლუბმა ამ უკანასკნელის შეძენა გადაწყვიტა. მოკლედ, პირველი საუბრის შემდეგ, ტრანსფერის გაჩარხვის შანსი ძალიან შემცირდა. მიულერი გერმანელ ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, იმის შანსი, რომ აპია "შალკეში" გადმოვიდეს, ძალიან მცირეაო. **ლევან კობიაშვილის** გუნდის შეფის თქმით, განელი ფეხბურთელი ძალიან დიდ ხელფასს ითხოვს - არადა, "ფენერბაჰჩეს" დატოვება უნდა. სტეფანს "შალკეში" ისიც ხიბლავს, რომ ეს გუნდი მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

### ბრიგელი თურქეთში წავიდა

ალბანეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, გერმანელმა **ჰანს-პეტერ ბრიგელმა** თურქეთს მიაშურა და "ანკარაგიუჯუსთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, კლუბთან, რომელმაც გასულ სეზონში მე-13 ადგილი დაიკავა. *"ეს დიდი ტრადიციების მქონე გუნდია. სიმართლე გითხრათ, დიდხანს არ მიფიქრია, წინადადებას მაშინვე დავთანხმდი,"* - განაცხადა 51 წლის სპეციალისტმა. გუნდის გულშემატკივრები ბრიგელს დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ - თავად განსაჯეთ, კონტრაქტის გასაფორმებლად ჩასულმა გერმანელმა ფანებმა აეროპორტიდან ხელში აყვანილი გამოიყვანეს. ბრიგელს თურქეთში მუშაობის გამოცდილება აქვს: 1999 წელს ის "ბეშიქთაშის" დამრიგებელი გახლდათ, 2001-2002 წლებში კი "ტრაბზონსპორისა".

### დუისბურგი: აილტონის ნაცვლად იშიაკუ

პირველ ბუნდესლიგაში ალზევებული "დუისბურგის" ხელმძღვანელებმა **აილტონის** გადაბირებაზე უარი თქვეს და ნიგერიელი თავდამსხმელი შეიძინეს - მომავალი სეზონიდან "ზებრების" შემადგენლობაში "ბრიუგეს" ფორვარდი **მანასე იშიაკუ** იასპარეზებს. ამ ფეხბურთელის შეძენა "დუისბურგს" ერთი მილიონი ევრო დაუჯდა. იშიაკუმ ბელგიის ჩემპიონატში გასულ სეზონში 22 მატჩი ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა.

### ბელუჩი გენუაში დაბრუნდა

**კლადიო ბელუჩი** "სამპდორიაში" დაბრუნდა და გენუურ კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. 32 წლის ბელუჩი ფორვარდია. სერია A-ში დებიუტი მას 1994 წელს ჰქონდა და სწორედ "სამპდორიის" მაისურით. ყველაზე ნაყოფიერად, ბელუჩის 1997/98 წლების სეზონი ეთვლება, როცა "ნაპოლიში" იყო, მაგრამ მისმა გოლებმა სახელგანთქმული კლუბი სერია B-ში გავარდნისგან ვერ იხსნა. 2000 წლიდან "ბოლონიაშია", სადაც ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 65 გოლს მოუყარა თავი.

ინტერვიუ დავიდ ოდონკორთან

# ჩემი ცხოვრება ერთმა ზარმა შეცვალა

## დავიდი ბეტისში გადასვლას არ ნანობს და ევროპის ჩემპიონატზე თამაშის იმედი აქვს...

**ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე, გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში იმხანად დორტმუნდის "ბორუსიის" მარჯვენა გარემარბმა დავიდ ოდონკორმა ითამაშა, უდიდესი სენსაცია გახლდათ. არავინ ელოდა, რომ იურგენ კლინსმანი მანამდე ბუნდესგუნდში უთამაშებელ ნახევარმცველს მუნდიალზე ათამაშებდა, მაგრამ კლინსიმ ეს ნაბიჯი გადადგა და ვერავინ იტყვის, რომ შეცდომა დაუშვა, რადგან ოდონკორი შეცვლებზე ძალიან სახიფათოდ გამოდიოდა და 14 ივნისს, გერმანელებმა პოლონელები რომ დაამარცხეს, სწორედ ოდონკორის დამსახურებაა, რომელმაც ერთადერთი გოლის ავტორ ოლივერ ნოივილს ჩინებული პასი მისცა. მუნდიალის შემდეგ უკვე ვარსკვლავად ქცეული ოდონკორი დორტმუნდიდან "ბეტისში" გადავიდა - სევილიელებს მისი ყიდვა 6 მილიონი ევრო დაუჯდათ. მაგრამ ოდნკორმა სევილიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა - არადა მას იქ ხოაკინის შემცვლელად განიხილავდნენ. შუა სეზონში კი, სულაც მძიმე ტრავმა მიიღო და ფეხბურთს 5 თვით ჩამოშორდა...**

**- ჰერ ოდონკორ, ზუსტად ერთი წლის წინათ, თქვენი შეუდარებელი პასით ოლივერ ნოივილმა პოლონეთს ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი გაუტანა, გოლი, რომლის წყალობითაც გერმანიის ნაკრებმა მეტოქე დაამარცხა და მერვედფინალში თამაში გაინაღდა. იმ მომენტს ხშირად იხსენებთ ხოლმე?**

- სიმართლე რომ გითხრათ, ის მომენტი არც ისე ხშირად მახსენდება. ცხადია, ეს ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი და დასამახსოვრებელი ეპიზოდი იყო, მომენტი, რომელიც არასდროს დამავიწყდება, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე გადამწყვეტი გოლის თანაავტორობა ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ ახლა საზრუნავი და სანერვიულო არ მაკლია, შესაბამისად, იმ გოლს იშვიათად ვიხსენებ. კვირას "ბეტისს" ძალიან რთული მატჩი აქვს - სეგუნდადივიზიონში დაქვეითების საფრთხე გვემუქრება. ახლა მხოლოდ ამ თამაშზე ვფიქრობ - "ბეტისის" გავარდნა დაუშვებელია.

**- გერმანიის ნაკრებზე გადაღებულ ფილმს, "ზღაპრულ ზაფხულს" თუ უყურებთ ხოლმე?**

- DVD სახლში მაქვს და დაახლოებით 5-ჯერ ან 6-ჯერ ვუყურე. მაგრამ ეს უკვე წარსულია, მე კი მომავალზე ვფიქრობ.

**- იმ დროის დაბრუნებაზე არ ოცნებობთ?**

- მუნდიალზე თამაშით ერთი დიდი ოცნება უკვე ამისრულდა. ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის საშუალება მომეცა, მაგრამ ახლა მხოლოდ წინ ვიყურები, დიდი მიზნები მაქვს. მაგალითად, მინდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშო და ამ მიზნის მისაღწევად თავს არ დავზოგავ. თანაც, ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და იმის იმედიც მაქვს, რომ ჩემპიონები გავხდებით.

**- ბუნდესგუნდს როგორ შეფასებას მისცემდით და რას იტყვით ახალგაზრდა ფეხბურთელებზე, მაგალითად მარიო გომესზე?**

- მთავარი ის არის, რომ სან მარინოსთან და სლოვაკეთთან 6 ქულა მოვიპოვეთ. ახლა ჩეხეთს უკვე დიდი უპირატესობით ვუსწრებთ და ევრო 2008-ის საგზური, ფაქტობრივად, განაღდებული გვაქვს. მიხარია, რომ მუნდიალის შემდეგ ბუნდესნაკრებმა პროგრესი არ შეწყვიტა. რაც შეეხება გომესს - "შტუტგარტელმა" წლეულს არნახული პროგრესი განიცადა, რასაც არავინ ელოდა. მარიომ შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და ბევრი გოლი გაიტანა. რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენა არ გაუჭირდა.

**- იოახიმ ლიოვი ისე არ გწყალობთ, როგორც იურგენ კლინსმანი გწყალობდათ. როგორ ფიქრობთ, რამდენად დიდია იმის შანსი, რომ დავიდ ოდონკორმა ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზოს?**

- ახლა მთავარი ის არის, რომ "ბეტისი" პრიმერადივიზიონიდან არ გავარდეს. თუ ელიტაში დავრჩებით, მომავალ სეზონში თავს არ დავზოგავ და დავამტკიცებ, რომ გერმანიის ნაკრებში თამაშის ღირსი. მთავარია, რომ მოვინდომო და ყველაფერი კარგად იქნება. მჯერა, ევრო 2008 ჩემს გარეშე არ ჩაივლის.

**- გასულ უქმეებზე "ბეტისის" გულშემატკივრებმა დიდი არეულობა მოაწყვეს...**

- დიახ, ეს ნამდვილი საშინელება იყო. საკუთარ მოედანზე 5 გოლი გავუშვით და რა გასაკვირია, რომ ფანები ძალიან გაბრაზდნენ. თანაც, ეს იმ დროს, როცა გუნდს ელიტიდან გავარდნის საფრთხე ემუქრება. გაბრაზებული ფანები სად არ მინახავს, მით უმეტეს, დორტმუნდის "ბორუსიაში", რომელსაც ჩემი აზრით, მსოფლიოში ყველაზე აქტიური ფანები ჰყავს, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში არასდროს ვყოფილვართ. მანქანაში ჩემი ოჯახის წევრები და მრჩეველი ისხდნენ, ფანები კი ქვებს გვესროდნენ...

**- საერთოდ, ამ ერთ წელიწადს როგორ შეაფასებდით?**

- ეს იყო ყველაზე აქტიური წელიწადი ჩემს ცხოვრებაში. ყველაფერი ვნახე: ბედნიერება, სიხარული, სინანული, სისაძაგლე, გულისწყვეტა. ერთმა ზარმა მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. იმ ზარს ვგულისხმობ, როცა იურგენ კლინსმანმა დამირეკა და შემატყობინა, მუნდიალზე ითამაშებო. არადა, მანამდე გაფართოებულ სიაშიც კი არ მოვიაზრებოდი და სიხარულით შოკში ჩავვარდი. თავიდან არ მჯეროდა, მეგონა, რომ კლინსი მეხუმრებოდა. სამწუხარო ის გახლდათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ძალიან მალე დასრულდა. ჩვენ ერთი ოჯახი ვიყავით და დღესაც ერთი ოჯახი ვართ. ლიოვი ხშირად მირეკავს ხოლმე.

**- 28 აგვისტოს დორტმუნდის დატოვება გადაწყვიტეთ და "ბეტისთან" კონტრაქტი გააფორმეთ. ამ გადაწყვეტილებას ხომ არ ნანობთ?**

- არა, რადგან მივხვდი, რომ მიუხედავად მსოფლიოს ჩემპიონატისა, "დორტმუნდის" იმდროინდელი მწვრთნელი ბერტ ვან მარვიიკი მაინც არ მენდობოდა, ძირითად შემადგენლობაში არ მომიაზრებდა. შესაბამისად, როგორც კი გუნდის გამოცვლის შანსი მომეცა, მაშინვე გამოვიყენე. "ბეტისში" კი თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

**- შეიძლება, 16 ნოემბრის შესახებ ვისაუბროთ? იმ დღეს თქვენს მეუღლეს, სუზანს, მუცელი მოეშალა...**

- დიახ. რას ვიზამთ, სამწუხაროდ, ღმერთმა ასე ისურვა. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე რთული დღე იყო. იმ დროს სევილიაში გახლდით. დარწმუნებული ვარ, რომ სუზისა და მე არაერთი შვილი გვეყოლება და ბედნიერი მშობლები ვიქნებით, მაგრამ ამ დღეს მაინც ვერასდროს დავივიწყებთ.

**- ამ ამბის შემდეგ კი მაშინვე ტრავმა მიიღეთ...**

- დიახ, მერე ყველაფერი ერთმანეთს მოჰყვა. საოპერაციო გავხდი, რაც კიდევ უფრო დიდი შოკი იყო. ამ ტრავმის გამო ფეხბურთს 5 თვით ჩამოვშორდი.

**- კვირას სანტანდერში თამაშობთ. რა შანსი აქვს "ბეტისს"?**


დავიდ ოდონკორი

- ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად ფრეც გვაწყობს, მაგრამ ფრეზე არ უნდა ვითამაშოთ, ეს დიდი შეცდომა იქნება. "ბეტისი" ამ სეზონში გასვლით მატჩებს ყოველთვის კარგად ატარებდა და ახლაც მოგებაზე უნდა ვითამაშოთ.

**- ესპანეთის ჩემპიონატი წლეულს ძალიან დაძაბულია. "რეალი" ჩემპიონია?**

- დიახ! ეჭვი არ მეპარება, რომ მადრიდელები ბოლო თამაშს მოიგებენ და ჩემპიონობას იზეიმებენ. არა მგონია, რომ ფაბიო კაპელოს გუნდმა შინ "მალიორკასთან" ქულები დაკარგოს. "რეალი" მენტალურად ძალიან ძლიერი გუნდია და ამ თამაშის მოგება არ გაუჭირდება. "ბარსელონას" "ესპანიოლისთვის" უნდა მოეგო და ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ "ბარსამ" ეს შანსი ხელიდან გაუშვა, რაც, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. ჩემთვის სულერთია, ვინ გახდება ჩემპიონი, მაგრამ ვფიქრობ, რომ პირველობა "რეალმა" უფრო დაიმსახურა.

**- თუ "ბეტისი" გავარდება, ალბათ გუნდიდან წახვალთ...**

- რა თქმა უნდა. მინდა, რომ "ბეტისში" დავრჩე, მაგრამ სეგუნდადივიზიონში თამაშის პერსპექტივა ნამდვილად არ მხიბლავს, რადგან მომავალი სეზონის შემდეგ ევროპის ჩემპიონატია. ესპანეთის მეორე ლიგიდან კი, ევრო 2008-ზე არავინ წამიყვანს და მართლებიც იქნებიან.

**- ბუნდესლიგაში დაბრუნება რეალურია?**

- რა თქმა უნდა.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ მუნდიალის შემდეგ არასწორი ნაბიჯი გადადგით, რისთვისაც დაისაჯეთ კიდეც...**

- მე ასე არ ვფიქრობ, რადგან ტრავმა, შეიძლებოდა, "დორტმუნდშიც" მიმელო.

**გოტფრიდ ლენცი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



გორდონ ჰერბერტი

# პო ორტეზმა გორდონ ჰერბერტი დაითხოვა

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გორდონ ჰერბერტი** "პო ორტეზში" აღარ იმუშავებს - მან ფრანგული გუნდი გუშინ დატოვა.როგორც "პოს" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით ირკვევა, აქ გადამწყვეტი გორდონის სურვილი არ ყოფილა:

"საფრანგეთის თასის მფლობელ "პო ორტეზში" მოულოდნელი ცვლილება მოხდა - მთავარი მწვრთნელის პოსტზე გორდონ ჰერბერტი მეორე ლიგის საუკეთესო სპეციალისტმა **ოლივიე კუსენმა** შეცვალა.

48 წლის ჰერბერტმა, რომელიც პარალელურად საქართველოს ნაკრებს წვრთნის, კლუბის ხელმძღვანელობის უკმაყოფილება საფრანგეთის პირველობის ფლეი ოფში ვერგასვლით გამოიწვია. არადა, ქვეყნის 10-გზის ჩემპიონებს მსგავსი წარუმატებელი სერია ბოლო ათწლეულში არ ჰქონიათ. კანადელმა სპეციალისტმა "პოს" რეგულარულში 18 მატჩი მოაგებინა (34-დან), რაც მეცხრე ადგილზე გასასვლელად აღმოჩნდა საკმარისი. ფლეი ოფში კი საუკეთესო 8 კლუბი გავიდა".

... თუმცა იყო ორი წარმატებაც - "პო ოტეზმა" წლეულს საფრანგეთის თასი მოიგო და ევროლიგაზე ტოპ-თექვსმეტეულში მოხვდა. აი როგორ შეაფასა ჰერბერტის გუნდიდან წასვლის ამბავი კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა:

"საზაფხულო არდადეგების დაწყებამდე, ბოლო ვარჯიშის შემდეგ ორივე მხარემ ვისაუბრეთ და შეთანხმებას მივაღწიეთ - მწვრთნელთან ხელშეკრულება გავაუქმეთ. ამიერიდან იგი თავისუფალია. "პოში" კი მეორელიგელი "კუიმპერის" მწვრთნელი ოლივიე კუსენი იმუშავებს".

ამ ინფორმაციის წაკითხვის შემდეგ უამრავი კითხვა გაჩნდა - სად გააგრძელებს მუშაობას გორდონ ჰერბერტი? და მთავარი: მოემზადება თუ არა საქარველოს ნაკრები "პო ორტეზის" ბაზაზე მწვრთნელის კლუბიდან წასვლის შემდეგ?

სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, კალათბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **მერაბ რატიშვილს** დავუკავშირდით.

- გორდონ ჰერბერტის "პოდან" წასვლის საკითხი ცოტა ადრე გადაწყდა და, ალბათ, სააშკარაოზე გამოტანა ახლა ჩათვალეს საჭიროდ. - გვითხრა ბატონმა მერაბმა.

როცა მას საქართველოს ნაკრების "პო ორტეზის" ბაზაზე ვარჯიშის საკითხზე ვკითხეთ, გაიკვირვა - ჰერბერტის კლუბიდან წასვლის გამო სიტუაცია რატომ უნდა შეცვლილიყოო?

- აგვისტოს დასაწყისში ჩვენი ნაკრების "პოს" ბაზაზე დაბინავების საკითხი გუნდის უფროსობასთან შევათანხმეთ და მწვრთნელის ცვლილება ამ შეთანხმებაზე არანაირად არ იმოქმედებს. საქართველოს ნაკრები იმავე გეგმით მოემზადება, რაც მაისის ბოლოს გამოვაქვეყნეთ - ჯერ ბულგარეთში გამართავს სამ მატჩს, შემდეგ საფრანგეთში, ქალაქ პოში დაბინავდება, მერე კი პორტუგალიის ქალაქ მადეირაში დაგეგმილ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ახალგაზრდული ნაკრები

# სპარსელები მოდიან და უკრაინაში მივდივართ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 4 ივნისს შეიკრიბა და მას შემდეგ საკალათბურთო აკადემიის დარბაზში ემზადება. შეკრების პირველ დღეებში მზადების გეგმა საბოლოოდ არ იყო დახვეწილი - გაურკვეველი იყო, 20-წლამდელები სპარინგ-მატჩებს სად და ვისთან გამართავდნენ.

სადღეისოდ გეგმის ყველა დეტალი დაზუსტდა და გადაწყდა, რომ ჯერ ირანელ ახალგაზრდებს გავეჯიბრებით, შემდეგ - უკრაინელებს.

სპარსი 20-წლამდელები თბილისში ამხანაგური მატჩისთვის 20 ივნისს ჩამოვლენ. ამის შემდეგ ქართველი ახალგაზრდები ვარჯიშს აკადემიას დარბაზში განაგრძობენ, 27 ივნისს უკრაინის დედაქალაქ კიევში გაფრინდებიან, სადაც იქაურ თანატოლებთან სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ.

კიევიდან დაბრუნების შემდეგ **დავით უსტიაშვილის** შეგირდებს საქართველოში ერთი კვირაც არ მოუწევთ გაჩერება - 6 ივლისს სლოვენის ქალაქ ნოვა გორიცასა და იტალიურ გორიციაში ევროპის ჩემპიონატი იწყება.

კიდევ ერი ინფორმაცია ახალგაზრდული ნაკრების ბანაკიდან - გუნდი სრული შემადგენლობით დაახლოებით 21-22 ივნისს შეიკრიბება. ამერიკულ "პენსაკოლას" კოლეჯში მოთამაშე **ლაშა ფარლალავას** 20 ივნისს გამოცდა აქვს, რომლის ჩაბარების შემდეგ დაუყოვნებლივ საქართველოში გამოეშურება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



## რაგბი

IRB: ერთა თასი

# მესამე ნაბიჯი, იტალია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები დღეს რუმინეთში, თბილისის დროით 16 საათზე IRB-ის ერთა თასის გათამაშების ბოლო შეხვედრას გამართავს იტალიის A ნაკრებთან. აქამდე ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ნამიბიას მოუგო და სამხრეთ აფრიკასთან დამარცხდა.

იტალიის წინააღმდეგ მწვრთნელებმა უძლიერეს შემადგენლობას მოუყარეს თავი. საკმაოდ მოულოდნელია კვაჭად **ირაკლი ჭყონიას** დაყენება. მან წინა შეხვედრაში, აფრიკელების წინააღმდეგ მწვრთნელთა სამეულზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მეორე ხაზში დასაწყისიდანვე ითამაშებენ გუნდის ვეტერანები, ტურნირის ყველაზე ასაკოვანი მორაგბეები **ვიქტორ დიდებულიძე** და **ზურაბ მჭედლიშვილი**. ცვლილებაა მესამე ხაზშიც, აქ **ილია მაისურაძის** ადგილს მისი მოგვარე **ზვიად მაისურაძე** დაიჭერს. უკანა ხაზში შუამარბის პოზიციაზე **რეზო გიგაურის** ნაცვლად **მალხაზ ურჯუკაშვილი** ითამაშებს.

ტურნირის გამარჯვებული სამხრეთაფრიკელთა და არგენტინელთა მატჩში გამოვლინდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**



საქართველო-ნამიბია. უტევს დავით კაჭარავა

### მესამე ტური

**16:00 საქართველო-იტალია A**

საქართველო: 15.ოთარ ბარკალაია, 14.გიორგი შკინინი, 13.მალხაზ ურჯუკაშვილი, 12.დავით კაჭარავა, 11.ოთარ ელოშვილი, 10.მერაბ კვირიკაშვილი, 9.ირაკლი აბუსერიძე; 1.მამუკა მაგრაქველიძე, 2.ირაკლი ჭყონია, 3.დავით ხინჩაგიშვილი, 4.ზურაბ მჭედლიშვილი, 5.ვიქტორ დიდებულიძე, 6.რატი ურუშაძე, 7.ზვიად მაისურაძე, 8.გიორგი ჩხაიძე

იტალია A: 15.ანდრეა მარკატო, 14.მიქელე სეპე, 13.ალბერტო სკარბი, 12. მატეო ბარბინი, 11.მიქელე ნიტოლია, 10.ლუჩანო ორკერა, 9. პინო პატელი; 1.ლუიჯი მილანი, 2. ლუიჯი ფერარო, 3. ლორენცო ჩიტადინი, 4. ენრიკო პავანელო, 5. მარიო ველა, 6.პოლ დერბიშირი, 7. იაკო ერაზმუსი, 8. დავიდ დალ მაზო

**18:00 რუმინეთი-ნამიბია**

**20:00 სამ.აფრიკა A-არგენტინა A**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ს. აფრიკა A | 2 | 2 | 0 | 0 | +71 | 9 |
| 2. არგენტინა A | 2 | 2 | 0 | 0 | +41 | 9 |
| 3.საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | -9 | 4 |
| 4.რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -43 | 4 |
| 5. იტალია A | 2 | 0 | 0 | 2 | -18 | 1 |
| 6.ნამიბია | 2 | 0 | 0 | 2 | -42 | 0 |

## პლაჟბურთი

მსოფლიოს სერია



# მეცამეტე ადგილი

პორტუგალიის ქალაქ ეშპინიოში მიმდინარე მსოფლიოს სერიის მორიგ ეტაპზე პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ** ასპარეზობა ძირითად ბადეში დაიწყო. ჩვენმა ფრენბურთელებმა ოთხი შეხვედრა გამართეს - რომელთაგან ორში მარცხი იწვნიეს და გათამაშებას გამოეთიშნენ.

პირველ მატჩში გეორ-გიამ იტალიურ **ლიონესა** და **ვარნიეს** დუეტს სძლია 2:0 (21:16, 21:17). მერე კი ტურნირის მეორე ნომრებთან, ბრაზილიურ დუეტთან (**ფრანკო-კუნია**) დამარცხდნენ 0:2 (14:21, 16:21). დამამშვიდებელი ეტაპის პირველ მატჩში გეორგიას ნაცნობი ესპანური დუეტი **ერერა** და **მესა** შეხვდა. ამ წყვილთან მათ წინა, ზაგრების ეტაპზე წააგეს, რის გამოც ტურნირის დატოვება მოუხდათ. ამჯერად ჩვენმა ბიჭებმა რევანში აიღეს 2:1 (21:12, 17:21, 15:7). სამაგიეროდ, გეორ-გია ვერას გახდა შემდეგ მატჩში არანაკლებ ნაცნობ **სხილისა** და **ნუმერდორის** ჰოლანდიურ დუეტთან 1:2 (17:21, 21:15, 11:15).

საბოლოოდ, ეშპინიოში გეორ-გიამ მეცამეტე ადგილი დაიკავა, 180 სარეიტინგო ქულა და 4 500 ამერიკული დოლარი მიითვალა.

ეშპინიოში წარუმატებლად იასპარეზა ქალთა ქართულმა დუეტმა საქა-რთველომ. ჩვენმა ფრენბურთელებმა ასპარეზობა საკვალიფიკაციო ეტაპზე დაიწყეს და იქვე დაამთავრეს. პირველ მატჩში საქა-რთველომ პოლონელებს **ურბანსა** და **ვიატრს** სძლია 2:1 (21:13, 24:26, 15:12). ბოლო ძირითად ბადეში გადამსვლელ შეხვედრაში კი, კვალიფიკაციაში პირველ ნომრად განთესილ ბერძნებთან, **კუტრუმანიდუსა** და **ციარციანის** წყვილთან დამარცხდა 0:2 (12:21, 10:21).

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ჩოგბურთი

# ერთეულებშიცა და წყვილებშიც

გერმანულ ოფენბახში 18-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის პირველი კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომელიც უკვე მე-15-დ იმართება. ტურნირში მეხუთე ნომრად განთესილია ქართველი **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც უკვე მეოთხედფინალშია. ოქსანამ მერვედფინალში კიდევ ერთი გერმანელი დაამარცხა, კალაშნიკოვამ **მარა ნოვაკს** ორ სეტში მოუგო - 6:3, 6:2. მეოთხედფინალში ოქსანას მეტოქე ტურნირის მეორე ჩოგანი რუსი **ელენა ჩერნიაკოვაა**. კალაშნიკოვა კლასიფიკაციაში 25-ე ჩოგანია, ხოლო ჩერნიაკოვა - მე-19. მიუხედავად ამისა, ოქსანა ორჯერ შეხვდა რუსს და ორივეჯერ მოუგო. მეორედ - ახლახან, ახალგაზრდულ როლან გაროსზე.

წყვილთა თანრიგში ოქსანა კალაშნიკოვა და **ირინა ბეგუ** (რუმინეთი) მეორე ნომრად განთესეს. ისინი მეოთხედფინალში უკრაინელებს (**ზანევსკა, სოტნიკოვა**) გაუსწორდნენ - 6:1, 6:7 (4), 6:2. კალაშნიკოვა და ბეგუ ოფენბახის ტურნირის ნახევარფინალში ავსტრალიელებს (**პეერსი, ჰოლანდი**) შეხვდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს უცხადებს, ამავე კომიტეტის აღმასკომის წევრს, საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს რუსუდან სიხარულიძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფედერაციის პრეზიდენტს, მსოფლიო ჩემპიონს რუსუდან სიხარულიძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა 19.06. ბათუმში, რუსთაველის 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## თავისუფალი ჭიდაობა

# ვარიანში ბელგრადისთვის

## მთავარი მედალი კი არა, ღირსეული ცვლაა



ნუგზარ სხირელი

**ივნისის ბოლოს, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გაიმართება ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. თავისუფალი ჭიდაობის ნაკრები ამ ტურნირისათვის მოსამზადებელ ბოლო ეტაპს ქართლში, ვარიანის კრივის დარბაზში გადის. ახალგაზრდა ფალავნები აქ 7 ივნისს დაბანაკდნენ და 22 ივნისამდე დაყოფენ. ახალგაზრდული ნაკრების სამზადისზე ვესაუბრეთ მთავარ მწვრთნელს ნუგზარ სხირელს.**

- ერთი წლის წინათ შეკრება თბილისში, „შრომითი რეზერვების" დარბაზში გვქონდა, თითქმის შუა ქალაქში და ამიტომ გაუსაძლისი სიცხის გამო ძალიან გავწვალდით. წლეულს გადავწყვიტეთ, ადგილი შეგვეცვალა და საამისოდ ვარიანის დარბაზი შევიგულეთ. ვარიანში ძალიან კარგი სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობებია, გიორგი კანდელაკიც დაგვთანხმდა და 7 ივნისის შემდეგ აქ ვართ. შეკრება ევროპის ჩემპიონატის წინ, 22 ივნისს დასრულდება, მეორე დღეს ბელგრადში გავემგზავრებით, 26-ში კი ტურნირიც დაიწყება.

ევროპის ჩემპიონატისწინა მოსამზადებელი ეტაპი ამ შეკრებამდეც ნაყოფიერი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ორ საერთაშორისო ტურნირში (რიგასა და იზმირში) მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის ხელშეწყობით საშუალება მოგვეცა გამოძახებული რვა მოჭიდავის გარდა, კიდევ ოთხი ფალავანიც წაგვეყვანა, რაც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების წინ ნაკრების ძირითადი ბირთვის დადგენაში გვარიანად წაგვადგა.

**- ნაკრების შემადგენლობის დადგენისას საქართველოს ჩემპიონატის შედეგებს მიანიჭებთ უპირატესობას თუ ბოლო საერთაშორისო ტურნირებისას?**

- ერთსაც ვითვალისწინებთ და მეორესაც. ხშირად ხდება, რომ ორი კონკურენტიდან ერთი საქართველოში აჩვენებს უკეთეს შედეგს, მეორე კი საერთაშორისო არენაზე უფრო წარმატებულია. არჩევანის გასაკეთებლად რამდენიმე ვარიანტს შეიძლება მიმართოს მწვრთნელმა, მათ შორის საკონტროლო ორთაბრძოლას, თუმცა ხშირად ჩვენ სხვაგვარადაც ვიქცევით - ერთ ფალავანს ევროპის ჩემპიონატზე ვაჭიდავებთ, მეორეს მსოფლიოზე. მსგავსი ექსპერიმენტები მე ახალგაზრდული ნაკრებისთვის სავსებით მართებულად მიმაჩნია, რადგან ეს ნაკრები, პირველ ყოვლისა, ქვეყნის მთავარი გუნდისთვის ღირსეული შემცვლელების მოძიებით უნდა იყოს დაკავებული.

**- შემადგენლობა დადგენილია?**

- სამი წონითი კატეგორიის გარდა, ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრების შემადგენლობა გარკვეულია. 60 კილოგრამში იასპარეზებს გიორგი მაყიშვილი, რომელიც ბოლო ხანს ამ წონის გამოკვეთილი ლიდერია; 66-ში მიზეზთა გამო ნიკოლოზ რეხვიაშვილი დავაყენეთ უშუალო კონკურენტ ზაურ აბრამიშვილზე წინ; 74 კგ-ში გოჩა ლომთათიძის კონკურენტი იყო გიორგი მარსაგიშვილი, რომელსაც კარგი მონაცემები აქვს, თუმცა არასტაბილური მოჭიდავეა, ამიტომ ბელგრადში ლომთათიძის იმედი გვექნება; 84 კგ ჩვენი გუნდის სუსტი წერტილია იმ თვალსაზრისით, რომ ბექა ჭელიძეს სრულფასოვან კონკურენციასაც ვერავინ უწევს. შესაძლებლობებით ახლოს ვერავინ მივა მძიმეწონოსან გიორგი ნიკურაძესთანაც. იგი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია და სხვათა შორის, წლეულს, ბოლო სეზონს ატარებს ამ ნაკრებში.

**- რაც შეეხება წონებს, სადაც ჯერაც გასარკვევია ლიდერთა ვინაობა...**

- ესენია 50, 60 და 96 კგ წონითი კატეგორიები. პირველ მათგანში საქართველოს ჩემპიონატზე ჩემმა შეგირდმა, გორელმა დავით ბერძნიშვილმა გაიმარჯვა, მაგრამ ამ ეტაპზე მას ალბათ ლევან მეტრეველს ვამჯობინებ. ბერძნიშვილს, ასაკიდან გამომდინარე, ჯერ ყველაფერი წინ აქვს, ხოლო მეტრეველისთვის წლევანდელი წელიწადი ბოლოა ახალგაზრდულ ნაკრებში. საბოლოო გადაწყვეტილებას ორიოდ დღეში მივიღებთ.

55 კგ-ში გიორგი ედიშერაშვილსა და მურთაზ კვესაძეს შორის უნდა გავაკეთოთ არჩევანი. ამათ აქამდე ორჯერ, ქვეყნის ჩემპიონატზე და რიგის ტურნირზე მოუწიათ ერთმანეთთან შეხვედრა. ორჯერვე კვესაძემ მოიგო, თუმცა ორჯერვე მონეტის აგდების შემდეგ. მონეტა კი, ვის სასარგებლოდაც დაჯდება, მას 90 პროცენტით ბრძოლა მოგებული აქვს. ამის შემდგომ, ედიშერაშვილმა იზმირის ტურნირი მოიგო, კვესაძემ კი წონა ვერ დაიკლო და იზმირში 60 კგ-ში იჭიდავა - საკმაოდ წარუმატებლად. ამათში საკონტროლო შერკინების გამართვა იქნება უკეთესი, ოღონდ გამარჯვებული უნდა გამოვავლინოთ მხოლოდ ჭიდაობით, ყოველგვარი მონეტის გარეშე.

საკონტროლო შეხვედრა შესაძლოა 96 კგ-შიც გახდეს საჭირო, სადაც საქართველოს ჩემპიონ გიორგი ჩიქოვანსა და გიორგი მარტიაშვილს შორის გვაქვს ასარჩევად საქმე. პირველი მათგანი საქართველოს ჩემპიონია, თუმცა იზმირის ტურნირზე პირველივე წრეში წააგო, ხოლო მარტიაშვილმა ქვეყნის ჩემპიონატზე ვერ იჭიდავა (საქართველოში არ იმყოფებოდა), იზმირში კი პრიზიორი გახდა. ამ საკითხსაც ორიოდ დღეში გავარკვევთ.

**- რა შედეგის მიღწევას ვარაუდობთ ბელგრადში?**

- ვფიქრობ, ცუდად არ ვიასპარეზებთ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ, როგორც ახალგაზრდული, ისე ჭაბუკთა ნაკრებების თავკაცთათვის უპირველესი მიზანი არა იმდენად მედალია, რამდენადაც პირველი ნაკრებისთვის ღირსეული ცვლის მოძიება. ასეა ახლაც, მით უფრო, რომ დღევანდელი პირველი ნაკრები ასაკოვანია და პეკინის ოლიმპიადის შემდეგ გადახალისება დასჭირდება. ჩვენ ვალდებულები ვართ ამ ნაკრების ღირსი, პერსპექტიული მოჭიდავეები მივაწოდოთ მთავარ გუნდს.

**ვასილ ბალახაძე**
ვარიანიდან

## ხელბურთი

ინტერვიუ ვლადიმერ რუსიასთან

# ორასი გოლი და... მშვიდობით, უკრაინავ!

**ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ვლადიმერ რუსია უკვე თამამად შეგვიძლია მოვიხსენიოთ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების ლიდერთა გვერდით. ევროპის ჩემპიონატის წლევანდელ საკვალიფიკაციო ეტაპზე, იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ყველა მატჩში. საკმაოდ კარგი სეზონი ჩაატარა უკრაინაშიც, მაგრამ საქართველოს ნაკრების არ იყოს, "შახტარ-აკადემიასაც" მოეცარა ხელი და საპრიზო სამეულს მიღმა დარჩა.**

**ვლადიმერ რუსიას "შახტართან" კონტრაქტი დაუმთავრდა, უკრაინიდან საბოლოოდ აიბარგა და თბილისში ელოდება ახალი კლუბის ვარიანტს. მასთან საუბარი განვლილი სეზონით დავიწყეთ.**

- შარშანდელი სეზონის შემდეგ, "შახტარში" კარდინალური საკადრო ცვლილებები მოხდა. რამდენიმე წამყვანმა ხელბურთელმა დაგვტოვა, გადახალისებული შემადგენლობით კი სეზონის ბოლომდე ვერ ვიპოვნეთ საკუთარი თამაში და უმედლოდ დავრჩით. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში, შინაც და გასვლაზეც დავმარცხდით "ბრავართან" და სეზონი მეოთხე ადგილზე დავასრულეთ.

**- როგორი სტატისტიკა გქონდა წლეულს?**

- ზუსტად არ დამითვლია, რამდენი გოლი გავიტანე, მაგრამ დაახლოებით გეტყვით. სულ 36 მატჩი ჩავატარე და ერთ შეხვედრაში, საშუალოდ, 6-7 გოლი გამქონდა. მთლიანობაში, მინიმუმ 200 გოლი მაინც მექნება შეგდებული.

**- უკრაინიდან წამოსვლა საბოლოოდ გადაწყვიტე?**

- დიახ, უკრაინას უკვე დავემშვიდობე. ამ ქვეყანას ძალიან კარგი ჩემპიონატი აქვს, სადაც ორი წელიწადი ვითამაშე და ბევრი რამ შევიძინე. თუმცა, უკვე დროა, რომ უკეთესზე ვიფიქრო და უფრო ძლიერ ჩემპიონატში ვითამაშო.

**- რომელ გუნდში აპირებ გადასვლას?**

- ერთბაშად რამდენიმე ქვეყნის ვარიანტი მაქვს, მაგრამ სანამ საბოლოოდ არ გადაწყდება ყველაფერი, დაკონკრეტებას მოვერიდები. ჯერჯერობით, ვფიქრობ და არ მინდა, რომ ნაჩქარევი ნაბიჯი გადავდგა. ათიოდე დღეში უკვე გადაწყვეტილი იქნება ჩემი ახალი კლუბის ვინაობა და ამ საკითხზე მერე ვისაუბროთ.



უტევს ვლადიმერ რუსია

**- საქართველოს ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. ალბათ გულდაწყვეტილი იქნები, რომ წლევანდელ საკვალიფიკაციო ეტაპზე განცდილი წარუმატებლობის გამო...**

- რა თქმა უნდა. ოციოდე დღის შეკრებილი გუნდითა და სამი ლიდერის გარეშე, ძალიან გაგვიჭირდა. ტიტე კალანდაძე, სერგო დათუკიშვილი და გარი თურქია რომ გვყოლოდა, დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად გავიდოდით ჯგუფიდან.

**- საქართველოს ნაკრები ოქტომბერში ალბათ "ჩელენჯ ტროფიზე" იასპარეზებს. იმ დროს, საკლუბო სეზონი იქნება დაწყებული და ხომ არ არსებობს საფრთხე, რომ ახალმა გუნდმა არ გამოგიშვას?**

- ასეთი რამ ყოველთვის ხდება, გამორიცხული არაფერია. თუმცა, როდესაც ნაკრებში გვიძახებენ, ყველა ვალდებულები ვართ, რომ კლუბებთან პრობლემა მოვაგვაროთ და აუცილებლად ჩამოვიდეთ.

**კობა ხატისაშვილი**

## ჩოგბურთი

# რენას თასი იან ჰომერზე

გუშინ, იან ჰომერის სახელობის დილმის საჩოგბურთო კორტებზე გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც ყოველწლიური საჩოგბურთო ტურნირის "რენას თასის" დაწყებას ეძღვნებოდა.

**რენა აბჟანდაძე** ქართულ ჩოგბურთში მნიშვნელოვანი ფიგურაა და მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციისა და მისი ოჯახის მეშვეობით ტრადიციულ ტურნირს ჩაეყარა საფუძველი. წლეულს ტურნირი მეთერთმეტედ იმართება და ორგანიზატორები კვლავ ჩოგბურთის ფედერაცია და ოჯახის წევრები არიან, რომელთაც, სამწუხაროდ, რენას ვაჟი - დავით გოგილაშვილი გამოაკლდა. დათოს ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ დაარსდა ფონდი რენა და დათო; სწორედ ეს ფონდი უწევს პატრონობას ტურნირს. სასიამოვნოა, რომ ორგანიზატორებს გვერდში უდგას და მთავარ სპონსორად გვევლინება კომპანია თელასი.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს წარდგენ: რენა აბჟანდაძის ქალიშვილი **ნანა გოგილაშვილი**, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლეილა მესხი**, კომპანია "ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტი **დავით ლანჩავა** და კომპანია თელასის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **ვალერი ფანცულაია**.

ნანა გოგილაშვილი: - სასიამოვნოა, რომ ტურნირი "იან ჰომერის" კორტებზე იმართება. მონაწილეთა ასაკი 14 და 16 წლამდეა. წლეულს უპრეცედენტოდ ბევრი სტუმარი გვეყოლება - 24 ქვეყნიდან. მადლობა მინდა გადავუხადო იმათ, ვინც გვერდში დაგვიდგა და შესაძლებელი გახადა ტურნირის გამართვა. შეჯიბრება 18 ივნისს, ორშაბათს აილებს სტარტს. შაბათ-კვირას ვეტერანთა და მოყვარულთა შორისაც გაიმართება ტურნირი.

ლეილა მესხი: - ქართული ჩოგბურთისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტურნირები. ეს მცირე დანახარჯით საერთაშორისო რეიტინგში დაწინაურების და ქულების შემატების საშუალებაა. როგორც იცით, "რენას თასი" ჯერჯერობით მესამე კატეგორიის ტურნირია. მეორე კატეგორია რომ მიენიჭოს, აუცილებელია მინიმუმ 9 ქვეყნის წარმომადგენელი ჩამოვიდეს. როგორც ნანამ ბრძანა, 24 ქვეყანა მიიღებს ამჯერად მონაწილეობას. ზუსტი რიცხვი ხვალ-ზეგ დადგინდება და ამის შემდეგ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია შეაგროვებს საჭირო დოკუმენტაციას, გააგზავნის ჩოგბურთის საერთაშრისო ფედერაციაში. იმედი გვაქვს, რომ გაისად მეორე კატეგორიას მოგვანიჭებენ.

ვალერი ფანცულაია: - მეოთხე წელიწადია, რაც "რენას თასის" სპონსორები ვართ. ტურნირის დინამიკა მზარდია - ყოველწლიურად უფრო მეტი ახალგაზრდა და ქვეყანა გამოთქვამს ასპარეზობის სურვილს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ჩოგბურთის პოპულარობა მატულობს. "თელასი" კვლავ გააგრძელებს ქართულ ჩოგბურთთან თანამშრომლობას.

**ზვიად შათირიშვილი**

## სამბო

# იაძე პუტინის თასისთვის

ამ უქმეებზე მოსკოვი „პუტინის თასს" უმასპინძლებს სამბოში. ეს შედარებით ახალი, მაგრამ უკვე ძალზედ პოპულარული ტურნირია სამბოს სამყაროში. წლეულს მასში რუსეთის, ბულგარეთის, ბელარუსის, უკრაინის, ყაზახეთის, სამხრეთი კორეის, მონღოლეთის, ვენესუელის, საბერძნეთისა და საქართველოს გუნდები მონაწილეობენ.

როგორც ვხედავთ, მონაწილენი რეგიონალური პრინციპითა არიან შერჩეული და ორგანიზატორთა ჩანაფიქრიც ესაა - ყოველი კონტინენტის უძლიერეს ნაკრებებს მოუყაროს თავი. ტურნირი გუნდური პრინციპით ტარდება. რაკილა შეჯიბრება პრეზიდენტ პუტინის სახელობისაა, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რაოდენ მაღალ დონეზე ტარდება იგი. საკმაოდ დიდია საპრიზო ფონდიც, თუმცა ეს ფაქტორები მასპინძლებისადმი მსაჯთა მიკერძოებასაც განაპირობებს - მათთვის პრესტიჟის საქმეა, უმთავრესი პრიზები და ტიტულები მოსკოვშივე დარჩეს.

ჩვენი ნაკრები მოსკოვში გუშინ, გამთენიისას გაფრინდა. ნაკრებს თავკაცმა **ოლეგ იაძემ** ამჯერად რამდენიმე ლიდერი დაასვენა, თუმცა იგი მოსკოვში ფავორიტის სტატუსით და დიდი გეგმებით წავიდა.

**ირაკლი თავაძე**




ჩემპიონობის შემოქმედნი (მარცხნიდან): ჯინობილი, დანკანი, პოპოვიჩი და პარკერი

NBA. სუპერფინალი

# დი-ნას-ტია!

**კლივლენდი-სან ანტონიო 82:83**

20:19, 14:20, 18:21, 30:23

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (24 ქ. 10 პ. 6 მ), გუდენი (11 ქ. 11 მ), გიბსონი (10 ქ. 5 პ), დეიმონ ჯოუნსი (9 ქ), ილგაუსკასი (8 ქ. 13 მ), ვარეჟაო (8 ქ. 3 მ. 3 ჩ), დ. მარშალი (5 ქ. 4 მ), სნოუ (4 ქ. 2 პ), პავლოვიჩი (3 ქ), შენონ ბრაუნი.

**სან ანტონიო:** ჯინობილი (27 ქ. 5 მ. 3 პ), ტ. პარკერი (24 ქ. 7 მ), დანკანი (12 ქ. 15 მ. 3 პ. 2 დ. 2 ჩ), ობერტო (7 ქ. 5 მ), ფინლი (4 ქ), ელსონი (4 ქ), ბ. ბოუენი (2 ქ. 5 მ. 3 პ), ვონი (2 ქ), ორი (1 ქ. 3 მ), ბ. ბერი.

**სერია 0:4.**

ვერა, ვერ ქაჩავს **ლებრონი** ვერც **ჯორდანამდე** და გულზე ხელის დადების გარეშეც, "კლივლენდის" ვარსკვლავბიჭუნას უჟმურ და ეგოისტ **კობი ბრაინტამდეც** ბევრი უკლია.

როდესაც "ქვიქენ ლოუნზ არენაზე" საჩემპიონო შამპანურის შხაპი დასრულდა, როდესაც **მანუ ჯინობილის** მეორე საჩემპიონო მაისურიც შემოახიეს და როდესაც **დევიდ სტერნმა** სუპერფინალის უძვირფასესის ჯილდო **ტონი პარკერს** გადასცა, დაიწყო პრესკონფერენცია, სადაც თავიდან ნაგებული, გათელილი და შერცხვენილი გუნდის ლიდერს უხმეს.

*"კლივლენდი" ჩემი გუნდია. თუ მომავალ სეზონშიც ფინალს წავაგებთ, ე.ი. ბევრი ვერაფრით ნავწეულვართ წინ და ასეთ შემთხვევაში გუნდიდან ან მწვრთნელს უშვებენ, ან სხვა კარდინალურ ცვლილებებს მიმართავენ. თუ ჩემი შენარჩუნება სურთ, გვერდით დღევანდელზე გაცილებით ძლიერი და მშიერი ხალხი უნდა მყავდეს. "სან ანტონიოს" გაუმართლა. ბოლო ორი მატჩი "სპურსს" მათსავე თამაშით ვაჯობეთ, მაგრამ მეტოქის სროლების შემდეგ ბურთი კალათში ჩადიოდა, ჩვენ კი არ გვიმართლებდა. ერთადერთი, ვის წინაშეც ქუდს ვიხრი, ჩემი დიდი ძმა ტიმ დანკანია",* - ასეთი იყო ლებრონის კომენტარი.

ლებრონს ეგრევე გადაავიწყდა ის, რომ "სპურსთან" ყველა კომპონენტში ნაგებული სერია მასზე გაცილებით ძლიერად **დრიუ გუდენმა** და **ჟიდრუნას ილგაუსკასმა** ჩაატარეს. ლებრონმა ალბათ, ვერ გაიხსენა, რომ "სპურსში" ერთ-ერთი მოთამაშე გვარად პარკერია და ეს უკანასკნელი საუკეთესოდ დაასახელეს. ბოლოს კი ლებრონს მეტოქისთვის ათასი პროცენტით დამსახურებული ჩემპიონობაც არ მიულოცია.

"სპურსმა" კი ლებრონიც ზეცამდე აიყვანა, მაიკ ბრაუნსაც ხოტბა შეასხა და **გრეგ პოპოვიჩმა** ისიც აღნიშნა, რომ მის გუნდს, ლებრონის თქმის არ იყოს, ბოლო ორ თამაშში გაუმართლა. ოღონდ, მეტოქეზე მეტად და არა ისე, ზოგადად.

ფინალი თან იყო და თან - არა.

"სან ანტონიო" მეთოდურად, მრავალჯერ ნაიარევი და გამოცდილი გლადიატორივით ანანილებდა ენერგიას, "კავალიერსი" კი... ჯიუტი, უსწავლელი ბავშვივით ცდილობდა, ამ ბოძის ადგილიდან დაძვრას და რომ არაფერი გამოსდიოდა, შეხვედრის მშვიდ კალაპოტში გადაყვანის ნაცვლად, მეტად ფეთქდებოდა და ნამსხვრევებში თავად ზარალდებოდა.

"კლივლენდს" ჰყავდა ლიდერი, "სან ანტონიოში" კი **ტიმ დანკანის** ფაქტორს თუ წამით გვერდით გადავდებთ (არადა, როგორი გადასადებია), ლიდერი გუნდი იყო.

"კლივლენდმა" ბოლო მეოთხედი 11:0 გაქცევით დაიწყო.

"სან ანტონიო"? გრეგ პოპოვიჩს წუთშესვენებაც არ აუღია, გუნდს სიმშვიდისკენ მოუწოდა და მერე და მერე დაიწყო არგენტინულ-დანკანური დომინაცია.

"სან ანტონიოზე" და მთლიანად სუპერფინალზე ჩვენი გაზეთის ორშაბათის ნომერში გაცილებით ვრცლად, ყველანაირად ვეცდებით, მაქსიმალურად ამომწურავად გაგესაუბროთ. დღეს კი, ცოტა ზედაპირული, ზოგადი, მაგრამ ალალი დიალოგი გვექნება.

"კლივლენდმა" ითამაშა ის, რაც მათ თავკაცს პოპოვიჩის ასისტენტობისას ჰქონდა ათვისებული, პოპოვიჩმა კი გუნდს მატჩის მსვლელობისას რამდენჯერმე გადაწყობა რომ მოუნდომა, ბრაუნისთვის ეს ამოუხსნელ დილემად იქცა.

დაღლილ-ოფლიანი შავკანიანების ფონზე ანათებდა ტონის საცოლე **ევა ლონგორია**, რომელსაც ტელეოპერატორები ბოლო მეოთხედში ლამის პოპოვიჩზე ხშირად გვიჩვენებდნენ.

დევიდ სტერნმა საუკეთესო მოთამაშის დასახელებისას მზერა მარჯვნივ გადაიტანა, სადაც მორცხვად ილიმებოდა დანკანი, მერე კი ზელიგის კომისარმა ტონი პარკერს მარჯვენა ხელი აღამართინა და უძვირფასესის ძვირფასი ჯილდოც გადასცა.

პარკერმა ფენომენალური თუ არა, კარიერაში ყველაზე შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელი სერია ჩაატარა. ამ ფინალის მერე ტონის **ჩონსი ბილაპსისა და ბაირონ დევისის** მერე აღარ მოიხსენიებენ, რადგან 25 წლის ფრანგი სამგზის ჩემპიონობის გარდა, იმ პრიზით ამაყობს, რომლის გარეშეც კარიერა **ჯონ სტოქტონს, სკოტი პიპენს, კარლ მელოუნსა** და კიდევ ბევრ სხვა ბობოლას დაუსრულებია. აქ ჩამოთვლილი ხალხი პარკერზე მასშტაბური გაქანებისა იყო, მაგრამ ტონი სამგზის, დიახ, სამგზის ჩემპიონია და ამას ისევე ვერ გაუვა წყალი, როგორც იმას, რომ **შაკი** პენსიაზეა გასასვლელი.

შაკის ხსენებაზე ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ დანკანი მეოთხედ გახდა ჩემპიონი და ამით ონილს დაეწია, ხოლო ინდივიდუალური ჯილდოებით კი ტიმი დიზელზე ერთგზის მეტჯერ დაფასებულია.

პარკერი, დანკანი, ჯინობილი, პოპოვიჩი... ეს ხალხი "სპურსის" დინასტიად ქცევის მთავარი შემოქმედები კი არიან, მაგრამ ის უკომპლექსო, ანტიკალათბურთელის მოძრაობით შემკობილი "პოლიციელიც" არ უნდა დავივიწყოთ, რომელმაც ჯეიმსს მთელი სერია ჩაუშხამა.

**ბრიუს ბოუენს** დევიდ სტერნისგან უძვირფასესის მეორე, პარკერისაზე ოდნავ მომცრო ზომის ჯილდო უნდა მიეღო, რადგან, რომ არა ბრიუსი, ლებრონი ლებრონი იქნებოდა.

არის თუ არა "სპურსი" დინასტია?

**ბილ რასელის** "სელტიქსისგან" განსხვავებით, ეს გუნდი ზედიზედ ბევრჯერ ჩემპიონი არ გამხდარა და ვერც ჯორდანის "ჩიკაგოსავით" წყვილად გაჰეთტრიკდა.

"სპურსმა" მხოლოდ ის შეძლო, რომ ბოლო ხუთი წლინადის განმავლობაში ჩემპიონობა სამჯერ მოიპოვა, მაგრამ თუ ლარი ბერდის "სელტიქსი" ისტორიაში დინასტიად შევიდა, ტიმ დანკანის პროვინციული "დეზები" უკვე ბერდის გუნდზე მეტჯერ გაპირველდნენ და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ზელიგას ახალი დინასტია, ახალი დომინანტი და მთელი საკალათბურთო სამყაროსთვის სამაგალითო ორგანიზაცია ჰყავს.

გუნდი, რომელიც, პირველ რიგში, გუნდია და მხოლოდ ამის შემდეგ რომელიმე, თუნდაც დანკანის კალიბრის მოთამაშეზე გადართული საჯინიბო.

დანკანი კი მართლაც სამაგალითო ტიპია. თავისთვის, ჩუმად და აუღელვებლად აკეთებდა ყველაფერს და მაშინაც კი არ აძლევდა მთელ "კლივლენდს" დამშვიდების საშუალებას, როდესაც მეორე ნახევარს სამარცხვინო ორი ქულით ხვდებოდა. ეს გუნდი მის გარშემო აშენდა, ამ გუნდზე ვრცლად კი, როგორც შევთანხმდით, ორშაბათის ნომერში გავისაუბრებთ.

ლიგას ახალი დინასტია დაებედა.

**ზურაბ თალაკვაძე**



პარკერის მთავარი პრიზი, ფრანგული კოცნა ლონგორიასგან

# TV სპორტი

## 16 ივნისი. შაბათი

### იმედი

16:30 კალათბურთი. NBA ACTION. მიმოხილვა.

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:50 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. ბაიერნი-სელტიკი.
14:40 საფეხბურთო კლუბი.
15:25 პლაჟის ფეხბურთი. "HTB-პლუსის" თასი. 1/2 ფინალი. სპარტაკი (რუსეთი)-უნიონ ბრაზილი (ბრაზილია) (LIVE).
16:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:55 პლაჟის ფეხბურთი. "HTB-პლუსის" თასი. 1/2 ფინალი. დელტა (რუსეთი)-სტროგინო (რუსეთი) (LIVE).
18:10 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. დინამო-ლოკომოტივი.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:25 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ხორვატია-რუსეთი.
20:45 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. არსენალი-ინტერი.
22:40 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ბელგია-ჰოლანდია. ჰოლანდია (LIVE).
00:40 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ისრაელი-პორტუგალია. ჰოლანდია.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰალე. გერმანია.
09:05 სპორტინფორმი.
10:15 ხელბურთი.
10:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
11:30 სპორტის სამყარო.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰალე. გერმანია (LIVE).
14:32 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
14:57 ფეხბურთი. Barca TV. ჩავი.
15:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰალე. გერმანია (LIVE).
17:20 სპორტის სამყარო.
17:25 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:55 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
19:00 ცურვა. Fina Mare Nostrum. მონაკო (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესპანიოლი.
22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი.
00:30 ხელბურთი.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ინტერნასიონალი (LIVE).
03:05 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პრაღა. ჩეხეთი.
05:05 ცურვა. Fina Mare Nostrum. მონაკო.

### EUROSPORT

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
11:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. პორტუგალია.
12:00 ნიჩბოსნობა (სლალომი). ევროპის ჩემპიონატი. სლოვაკეთი (LIVE).
13:15 ნიჩბოსნობა (სლალომი). ევროპის ჩემპიონატი. სლოვაკეთი.
14:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
15:00 ნიჩბოსნობა (სლალომი). ევროპის ჩემპიონატი. სლოვაკეთი.
16:00 ნიჩბოსნობა (სლალომი). ევროპის ჩემპიონატი. სლოვაკეთი (LIVE).
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". VI ეტაპი. საფრანგეთი.
21:00 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ესპანეთი (LIVE).
22:30 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი კონკურში. კანი. საფრანგეთი (LIVE).
00:00 კიკბოქსინგი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
02:00 რესტლინგი.
02:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ესპანეთი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. არიზონა-ლოს ანჯელესი.
15:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ბრიტანეთი.
16:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ბრიტანეთი.
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
17:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. პორტუგალია (LIVE).
19:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინო.
19:45 მულტისპორტი.
20:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. პორტუგალია (LIVE).
21:15 ახალი ამბები.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. საფრანგეთი-იაპონია. საფრანგეთი (LIVE).
01:00 ახალი ამბები.
01:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინო.
02:00 ახალი ამბები.

## 17 ივნისი. კვირა

### I არხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა (LIVE).

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

11:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
11:55 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ბელგია-ჰოლანდია. ჰოლანდია.
13:40 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. ისრაელი-პორტუგალია. ჰოლანდია.
15:25 პლაჟის ფეხბურთი. "HTB-პლუსის" თასი. მე-3 ადგილისთვის (LIVE).
16:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:55 პლაჟის ფეხბურთი. "HTB-პლუსის" თასი. ფინალი (LIVE).
18:15 არასაფეხბურთო ისტორიები.
18:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სელტა-ხეტაფე (LIVE).
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ბეტისი.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვილიარეალი.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:05 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
08:10 ცურვა. FINA-ს გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
09:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ბირმინგემი. ინგლისი.
12:50 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა.
13:45 სპორტკლუბი.
14:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰალე. გერმანია.
15:45 ხელბურთი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჰალე. გერმანია (LIVE).
17:31 სპორტის სამყარო.
18:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
19:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ბეტისი (LIVE).
21:20 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. გერმანია.
22:45 აფროსნობა. ამერიკის თასი.
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა (LIVE).
00:55 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ტავრია-მეტალურგი (დ).
02:40 ცურვა. FINA-ს გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
04:12 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
05:13 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. გერმანია.
06:36 სპორტკლუბი.

### EUROSPORT

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ბრნო. ჩეხეთი.
11:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. პორტუგალია.
12:00 ნიჩბოსნობა (სლალომი). ევროპის ჩემპიონატი. სლოვაკეთი (LIVE).
13:30 ნიჩბოსნობა (სლალომი). ევროპის ჩემპიონატი. სლოვაკეთი.
13:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
14:45 მულტისპორტი.
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინო (LIVE).
16:00 ნიჩბოსნობა (სლალომი). ევროპის ჩემპიონატი. სლოვაკეთი (LIVE).
17:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
18:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". VII ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
19:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. პორტუგალია (LIVE).
20:00 მულტისპორტი.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
22:00 პროფესიული კრივი. WBA. ზემძიმე წონა. ნ. ვალუევი (რუსეთი)-რ. ჩაგაევი (უზბეკეთი). შტუტგარტი. გერმანია.
00:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. სან მარინო.
01:30 სუმო.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინო.
12:30 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინო (LIVE).
13:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. საფრანგეთი-იაპონია. საფრანგეთი.
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. სან მარინო (LIVE).
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ბულგარეთი (LIVE).
15:45 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. ბრნო. ჩეხეთი (LIVE).
16:45 მოტორბოლა. GSX R-ის თასი. სან მარინო (LIVE).
17:15 მულტისპორტი.
17:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. სან მარინო (LIVE).
18:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. საფრანგეთი-იაპონია. საფრანგეთი.
19:30 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ესპანეთი.
21:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
23:00 ახალი ამბები.
23:15 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. ბრნო. ჩეხეთი.
00:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ბულგარეთი.
00:45 რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### იტალია. სერია B

| | |
|---|---|
| საიენა-ვერონა | 2:1 |

### კალათბურთი

#### იტალია. ფლეი ოფი. ფინალი

| | |
|---|---|
| ვირტუსი-მონტეპასკი | 65:86 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ჰალე

| | |
|---|---|
| ნიემინენი-ჟიკელი | 6:4, 6:0 |
| ბლეიკი-კოლშრაიბერი | 4:6, 3:6 |
| ბაღდატისი-მაიერი | 6:3, 6:3 |

#### ATP. ლონდონი

| | |
|---|---|
| ნადალი-მირნი | 5:7, 6:7 |
| ლუბიჩიჩი-მაუ | 6:7, 3:6 |
| გონსალესი-ტურსუნოვი | 3:6, 7:6, 4:6 |
| ჯოკოვიჩი-კლემანი | 6:2, 3:6, 4:6 |
| როდიკი-ჩილიჩი | 6:4, 7:6 |

#### WTA. ბარსელონა

| | |
|---|---|
| რაზანო-გალოვიტცი | 3:6, 4:6 |
| შონესი-პენეტა | 6:0, 4:6, 6:4 |

#### WTA. ბირმინგემი

| | |
|---|---|
| ბარტოლი-კერბერი | 6:2, 6:0 |
| ა. ბონდარენკო-კინგი | 6:1, 6:3 |
| ნა ლი-ფედაკი | 6:4, 6:4 |
| იანკოვიჩი-კირილენკო | 3:6, 6:3, 7:5 |
| ლიხოვცევა-მორიტა | 6:2, 6:0 |
| სანტანჯელო-ვაკულენკო | 6:3, 6:0 |

ტურნირები

# ნადალი დაასვენეს

ბალახის კორტების სეზონი ძალიან მოკლეა - როლან გაროსის შემდეგ ორი კვირა და უიმბლდონის ჯერი დგება. ასე რომ, ყველაზე სწრაფ კორტებზე თამაშის მისაჩვევად, მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნეები დალლას არ ერიდებიან და პარიზიდაე მაშინვე გერმანიის ჰალეს, და ბრიტანეთის ლონდონსა და ბირმინგემს მიაშურებენ ხოლმე.

ზუსტად ასე მოიქცა საფრანგეთის ღიას სამგზის ტრიუმფატორი, ესპანელი **რაფაელ ნადალი**, ვინც ბალახზე თამაშს ლონდონში, "სტელ არტუას" ჩემპიონატზე იხსენებს. მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** ბალახზე თამაშში ბადალი არ ჰყავს - ის უიმბლდონის ზედიზედ მეხუთედ მოგებას აპირებს, მაგრამ როლან გაროსის შემდეგ დასვენება არჩია.

პარიზში ზედიზედ მესამედ ტრიუმფის შემდეგ, გამარჯვებათა სერიას ნადალი ბალახზეც აგრძელებს. "სტელ არტუაზე" ასპარეზობისას, ის წვიმის გამო ოდნავ შეფერხდა, რის გამოც, გუშინ ჯერ ბელარუს **მაქს მირნისთან** მესამე წრის შეხვედრის დასრულება მოუხდა, შემდეგ კი მეოთხედფინალიც ითამაშა. წვიმის გამო რომ თამაში შეწყდა, ნადალი 7:6, 5:3-ს იგებდა. გუშინ კი პირველივე გეიმი მოიგო, რისთვისაც სულ სამი წუთი იმყოფინა.

ტურნირს მესამე წრეში გამოეთიშნენ როლან გაროსის სერბი ნახევარფინალისტი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ხორვატი **ივან ლიუბიჩიჩი**, მეოთხედფინალში კი მათი ბედი ჩილელმა **ფერნანდო გონსალესმაც** გაიზიარა. საკმაოდ გაუჭირდა ამერიკელ **ენდი როდიკს**, ვისაც მეორე სეტში ხორვატმა **მარინ ჩილიჩმა** მედგარი წინააღმდეგობა გაუწია.

თავისი თამაშით როდიკი უკმაყოფილო დარჩა - ასე თუ გავაგრძელე, ტურნირის მოგების იმედი არ უნდა მქონდეს. სხვათა შორის, როდიკს კარგ თამაშში ხელი ძლიერმა ქარმა შეუშალა. თუმცა მარტო როდიკს ხომ არა - კორტის მეორე მხარეს მისი მეტოქე, ვინც ტურნირზე უაილდ ქარდით მიიწვიეს, თავგამოდებით ირჯებოდა.

გონსალესი გადამწყვეტ სეტს რუს **დმიტრი ტურსუნოვს** 4:2 უგებდა, მაგრამ მეტოქემ რომ ანგარიში გაუთანაბრა, ჯავრი ჩოგანზე იყარა. ამანაც ვერ უშველა - ტურსუნოვმა მომდევნო ორი გეიმიც მოიგო და როდიკთან შეხვედრის უფლებაც მან მოიპოვა.

**P.S.** გვიან დასრულდა ნადალისა და ფრანგი **ნიკოლა მაიუს** მეოთხედფინალური შეხვედრა. მაიუმ წინა ეტაპზე ლიუბიჩიჩს მოუგო და ნადალთანაც აგრესიულად ითამაშა. პირველი სეტი ფრანგის გამარჯვებით დასრულდა. მეორეში შარშანდელი უიმბლდონის ფინალისტმა ნადალმა მას ბრეიკის საშუალება აღარ მისცა და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ იქ მშრალად წააგო და ტურნირსაც დაემშვიდობა.



როდიკს გამარჯვება გაუჭირდა

**ATP**

**Gerry Weber Open**

ჰალე (გერმანია). ბალახი
**საპრიზო ფონდი**: 680 250 ევრო

**1/8 ფინალი**

**ფლორიან მაიერი (გერ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 2) 6:4, 6:4; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 8)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ) 6:7 (9), 6:4, 6:3; **მარკ ჟიკელი (საფ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:2, 7:6 (5); **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ანდრეი პაველი (რუმ) 7:6 (5), 3:6, 6:1.

**1/4 ფინალი**

ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 3) 6:4, 6:3; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 8)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 6:3; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-მარკ გიშელი (საფრ) 6:4 (გიშელი გამოეთიშა); **ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ, 4)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 6) (იუჟნიმ არ ითამაშა)

**The Artois Championships**

ლონდონი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი**: 680 250 ევრო

**II წრე**

**მარატ საფინი (რუს, 8)**-სებასტიან გროსჟანი (საფ) 3:6, 6:4, 6:4.

**1/8 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 2)**-ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტ) 4:6, 7:6 (5), 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 3)**-რობი ჯინეპრი (აშშ, 15) 6:2, 7:5; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 7)**-პოლ ანრი მატიო (საფ, 12) 7:6 (3), 3:6, 6:3; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-მარატ საფინი (რუს, 8) 7:6 (3), 7:6 (4); **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-ჯო ვილფრიდ ცონგა (საფ) 4:6, 6:3, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-მაქს მირნი (ბლრ) 7:6(3), 6:3; **არნო კლემანი (საფ, 14)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4) 2:6, 6:3, 6:4; **ნიკოლა მაიუ (საფ)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორ, 5) 7:6(3), 6:3.

**1/4 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 2)**-მარინ ჩილიჩი (ხორ) 6:4, 7:6(5); **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 7)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 3) 6:3, 6:7(5), 6:4; **არნო კლემანი (საფ, 14)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 7:5, 6:4;

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-ნიკოლა მაიუ (საფ)

**WTA**

**Barcelona KIA**

ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 145 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ფლავია პენეტა (იტა, 8)**-ემილი ლუა (საფ, 3) 6:3, 6:3; **ედინა გალოვიტცი (რუმ)**-კაია კანეპი (ესტ, 4) 6:4, 7:5; **ვირჟინ რაზანო (საფ, 7)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:1, 6:4; **მეგან შონესი (აშშ, 6)**-აგნეს შავაი (უნგ) 7:6 (3), 6:4.

**1/2 ფინალი**

**მეგან შონესი (აშშ, 6)**-ფლავია პენეტა (იტა, 8) 6:0, 4:6; ედინა გალოვიცი (რუმ)-ვირჟინი რასანო (საფ, 7) 6:3, 6:4

**DFS Classic**

ბირმინგემი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი**: 200 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-მარია კირილენკო (რუს, 16) 3:6, 6:3, 7:5; **ნა ლი (ჩინ, 4)**-იულიანა ფედაკი (უკრ) 6:4, 6:4; **მარიონ ბარტოლი (საფ, 5)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:2, 6:0; **ალონა ბონდარენკო (უკრ, 6)**-ვანია კინგი (აშშ) 6:1, 6:3; **მარა სანტანჯელო (იტა, 8)**-იულია ვაკულენკო (უკრ, 9) 1:3 ვაკულენკო გამოეთიშა; **ელენა ლიხოვცევა (რუს)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:2, 6:0





სიდნი კროსბი

NHL. 2006-07 წლების სეზონი

# ლიგამ პრიზები დაარიგა

## კროსბიმ ჯილდოების კოლექცია შეკრიბა

გუშინ, ტორონტოში, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ სეზონის ლაურეატები დაასახელა. მთავარი პრიზი - Hart Memorial Trophy, რომელიც რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშისთვის არის განკუთვნილი, "პიტსბურგის" 19 წლის ვარსკვლავმა **სიდნი კროსბიმ** მოიგო. ჰოკეიში მომუშავე ჟურნალისტთა გამოკითხვაში, მან 91 პირველი ადგილი და ჯამში 1225 ქულა მოიპოვა.

კროსბი, ლეგენდარული **უეინ გრეტცკის** შემდეგ, ამ პრიზის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელი გახდა. გრეტცკიმ MVP-ის ტიტული, პირველად 1980 წელს, ასევე 19 წლის ასაკში მოიპოვა, ოღონდ ის კროსბიზე 5 თვით უმცროსი გახლდათ. ამის შემდეგ, უეინმა კიდევ რვაჯერ მოიგო ეს ჯილდო.

რაც შეეხება კროსბის, ის კიდევ ორი პრიზის მფლობელი გახდა. ახალგაზრდა "პინგვინი" საუკეთესო მოთამაშედ კოლეგებმაც (Lester B. Pearson Award) დაასახელეს. უფრო ადრე კი, მან Art Ross Trophy მიიღო, როგორც რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირმა - 120 ქულა (36 გოლი+84 პასი). სიდნი ლიგის ისტორიაში მეშვიდე ჰოკეისტი გახდა, ვინც ერთ სეზონში ამ სამ ჯილდოს მოუყარა თავი.

დაახლოებით ორი კვირის წინათ, კროსბი NHL-ის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი გახდა. *"არის თუ არა ეს ორი დღე თქვენს ცხოვრებაში უბედნიერესი?"* - ჰკითხეს პიტსბურგელს, რაზეც მან ასე უპასუხა: *"ჯერ სტენლის თასი არ მომიგია, ამიტომაც, ეს შეკითხვა მოგვიანებით დამისვით"*.

MVP-ის გამოკითხვაში მეორეზე გავიდა "ვანკუვერის" მეკარე **რობერტო ლუონგო**, რომელმაც 25 პირველი ადგილი და 801 ქულა დააგროვა. მას 38 ქულით ჩამორჩა მესამე ნომინანტი, "ნიუ ჯერსის" გოლკიპერი **მარტინ ბროდო**.

სხვათა შორის, ამ ორ ჰოკეისტს შორის გათამაშდა Vezina Trophy, რომელიც წლის საუკეთესო მეკარეს გადაეცემა. ამჯერად, ბროდომ ლუონგოს აჯობა და საპატიო პრიზის მფლობელიც გახდა.

ლეგენდებს შორის დაიკავა ადგილი, "დეტროიტ რედ უინგზის" მცველმა **ნიკლას ლიდსტრიომმა**. შვედი ჰოკეისტი, **რეი ბურკის** შემდეგ პირველი მცველი გახდა, ვინც კარიერაში მეხუთედ მოიგო Norris Trophy (წლის საუკეთესო დამცველი). ლიდსტრიომს უძლიერესი კონკურენტები ჰყავდა ანაჰაიმელების - **კრის პრონგერისა** და **სკოტ ნიდერმაიერის** სახით, მაგრამ ლიგამ უპირატესობა მაინც შვედს მიანიჭა.

*"ახლაც ვერ ვიჯერებ, რომ ეს პრიზი მეხუთედ მოვიგე. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან ლიგამ ლეგენდარული ჰოკეისტების გვერდით დამაყენა"*, - ამბობდა პრიზის მიღების შემდეგ, ნიკლას ლიდსტრიომი.

ზედიზედ მეორე წელია, საუკეთესო დებიუტანტის პრიზს არავის უთმობენ რუსი ჰოკეისტები. პიტსბურგელმა **ევგენი მალკინმა** შარშანდელ ლაურეატ **ალექსანდრ ოვეჩკინს** მიბაძა და წლის ახალბედის ტიტული მოიპოვა.

კიდევ ერთი რუსი ჰოკეისტი - **პაველ დაციუკი** ("დეტროიტი") ყინულზე გამოვლენილი ჯენტლმენური ქცევისთვის დააჯილდოვეს. სხვათა შორის, დაციუკმა Lady Byng Memorial Trophy ზედიზედ მეორედ მოიგო.

ასევე ზედიზედ მეორედ გახდა ლაურეატი "კაროლინის" 36 წლის ფორვარდი - **როდ ბრინდამორი**. მან კვლავ მოიპოვა საუკეთესო დაცვითი სტილის საუკეთესო ფორვარდისთვის განკუთვნილი ჯილდო.

დაბოლოს, რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელად "ვანკუვერ კენაქსის" დამრიგებელი **ალენ ვეინო** დაასახელეს. წელს, ამ სპეციალისტმა კანადურ კლუბს არსებობის ისტორიაში მეხუთედ მოაგებინა დივიზიონის ჩემპიონობა. გარდა ამისა, "ვანკუვერმა" საკლუბო რეკორდი დაამყარა - სეზონში 49 გამარჯვებას მიაღწია.

ამ ნომინაციაში ვეინოს წარმატება მოულოდნელობად შეაფასეს, ვინაიდან Jack Adams Award-ს რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულის "ბაფალოს სეიბრზის" დამრიგებელ **ლინდი რაფს** უწინასწარმეტყველებდნენ.

**ლაურეატები და სიმბოლური ნაკრებები**

**HART MEMORIAL TROPHY (საუკეთესო მოთამაშე - MVP)** - სიდნი კროსბი (პიტსბურგი)
**CALDER TROPHY (საუკეთესო დებიუტანტი)** - ევგენი მალკინი (პიტსბურგი)
**NORRIS TROPHY (საუკეთესო მცველი)** - ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი)
**VEZINA TROPHY (საუკეთესო მეკარე)** - მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი)
**JACK ADAMS AWARD (საუკეთესო მწვრთნელი)** - ალენ ვინო (ვანკუვერი)
**FRANK J. SELKE TROPHY (დაცვითი სტილის ფორვარდი)** - როდ ბრინდამორი (კაროლინა)
**LADY BYNG MEMORIAL TROPHY (წლის ჯენტლმენი)** - პაველ დაციუკი (დეტროიტი)
**LESTER B. PEARSON AWARD (ჰოკეისტების არჩევანი)** - სიდნი კროსბი (პიტსბურგი)
**სეზონის პირველი სიმბოლური ნაკრები**: მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) - ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი), სკოტ ნიდერმაიერი (ანაჰაიმი) - ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი), სიდნი კროსბი (პიტსბურგი), დენი ჰიტლი (ოტავა).
**სეზონის მეორე სიმბოლური ნაკრები**: რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) - კრის პრონგერი (ანაჰაიმი), დენ ბოილი (ტამპა ბეი) - ტომას ვანეკი (ბაფალო), ვენსან ლეკავალიე (ტამპა ბეი), მარტინ სენტ ლუისი (ტამპა ბეი).
**დებიუტანტების ნაკრები**: მაიკ სმიტი (დალასი) - მეტიუ კარლი (სან ხოსე), მარკ-ედუარდ ვალსიჩი (სან ხოსე) - ევგენი მალკინი (პიტსბურგი), ჯორდან სტაალი (პიტსბურგი), პოლ შჩასტნი (კოლორადო).


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა